ლელო

№13
(10973)

მარტი. 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სააგენტო „გუმათე“

ოთხი ლიცენზია — ეს უკვე საქმეა!

ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის 43-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ცხრაკაციანმა ნაკრებმა.

კონტინენტის პირველობაში კარგად გამოსვლა, თავისთავად, საპატიოა, მაგრამ ამ ასპარეზობას, ამჯერად, სხვა დატვირთვაც ჰქონდა და სასიამოვნოა, რომ ჩვენმა ათლეტებმა ამ მხრივაც გამოიჩინეს თავი. უფრო ზუსტად, ერთმა ჩვენმა თანამემამულემ ოქროს მედალი დაისაკუთრა და კიდევ სამმა ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზია მიიღო.

ელდარ კურტანიძე

ჩემპიონი როგორც მოსალოდნელი იყო, გახდა ელდარ კურტანიძე, რომელსაც 90 კგ-ში არ ჰყავდა ტოლი. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამ წონაში რუსეთის ღირსებას იცავდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი, რომელმაც, როგორც კი გაინაღდა ლიცენზია (VI ადგილი) უარი თქვა შეჯიბრების გაგრძელებაზე. ამბობენ, რომ ხადარცევმა თავი მოარიდა კურტანიძესთან შეხვედრასო.

ლიცენზიები მოიპოვეს, აგრეთვე, მძიმე წონაში ზაზა — თურმანიძემ (VII ადგილი), 100 კგ-ში ზაზა ტყეშელაშვილმა (VIII ადგილი) და 82 კგ-ში — ავთანდილ გოგოლაშვილმა (VII ადგილი).

ყაველაშვილი ქინქლაძის გუნდში

საქართველოს ნაკრებისა და „სპარტაკ-ალანიას“ ფორვარდმა მიხეილ ყაველაშვილმა დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტისაგან თანხმობა მიიღო ამ ქვეყანაში სამუშაოდ.

„მანჩესტერ სიტიში“, რომელმაც ახალ ლეგიონერში 1,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, ყაველაშვილი შეუერთდება თავის თანამემამულეს გიორგი ქინქლაძეს, რომელსაც ინგლისის წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევენ.

* * *

ამასობაში ინგლისის ფეხბურთელთა პროფესიულმა ასოციაციამ დაასახელა ექვსი კანდიდატი, რომლებიც, მისი აზრით, 1995-96 წლებში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისათვის იბრძოლებენ. მათ შორის მხოლოდ ერთია ლეგიონერი — დევიდ ჟინოლა („ნიუკასლი“). სხვა პრეტენდენტთა შორის არიან: ლეს ფერდინანდი და პიტერ ბერდსლი (ორივე — „ნიუკასლი“), რობი ფოულერი („ლივერპული“), ალან შირერი („ბლეკბერნი“) და სტივ სტოუნი („ნოტინგემი“).

ამ სიის გამოქვეყნებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბრიტანეთის პრესაში, რომელსაც მიაჩნია, რომ ასოციაციამ არ დაასახელა რამდენიმე ლეგიონერი, რომელთა თამაში ინგლისის ჩემპიონატში მაღალ შეფასებას იმსახურებს. ჟურნალისტებს კერძოდ მხედველობაში ჰყავთ ჰოლანდიელები რუუდ გულიტი („ჩელსი“) და დენის ბერგკამპი („არსენალი“), ფრანგი ერიკ კანტონა („მანჩესტერ იუნაიტედი“), განელი ენტონი იებოა („ლიდსი“), ბელგიელი ფილიპ ალბერი („ნიუკასლი“) და ქართველი გიორგი ქინქლაძე („მანჩესტერ სიტი“). შარშან საუკეთესოდ იყო დასახელებული იურგენ კლინსმანი.

მიხეილ ყაველაშვილი

+1 ვახტანგ იაგორაშვილი

მექსიკის დედაქალაქში დამთავრდა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელმაც გაანაწილა ატლანტის შვიდი ლიცენზია. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 30 ქვეყნის 54 ათლეტი. ვახტანგ იაგორაშვილმა ამ ასპარეზობაში მეოთხე ადგილი დაიკავა და მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია საქართველოსთვის (შეგახსენებთ,რომ იაგორაშვილი რამდენიმე წელიწადია აშშ-ში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს მოქალაქეა).

გთავაზობთ პირველი შვიდეულის ტექნიკურ შედეგებს:

1. ხორასიო დე ლა ვეგა (მექსიკა) — 5470,58 ქულა; 2.სერხიო სალასარი (მექსიკა) — 5322,22; 3. ანდრეი ზადნეპროვსკი (ლიტვა) — 5317,60; 4. ვახტანგ იაგორაშვილი (საქართველო) — 5269,31; 5. ადრიან ტოდერი (რუმინეთი) — 5180,64; 6. ატილა კალნოკიკიში (უნგრეთი) — 5164,11. 7. ანდრეი ტროპინი (რუსეთი) — 5107,29.

FRANCE 98

გაიმართა ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთი შესარჩევი მატჩი კონკაკაფის ზონაში (კარიბის ჯგუფი). დომინიკელთა რესპუბლიკის ფეხბურთელებმა დაამარცხეს არუბას გუნდი 3-2 (1-0). საინტერესოა, რომ ეს შეხვედრა გამოდგა საიუბილეო — ფიფას მიერ ორგანიზებული მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი ციკლის 2500-ე მატჩი.

* * *

ორი შეხვედრა მოეწყო ატლანტის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირებშიც, ორივე აზიის ზონის ნახევარფინალური მატჩი იყო. იაპონელებმა შინ დაამარცხეს საუდის არაბეთის წარმომადგენლები — 2-1 (1-0), კორეის გუნდმა კი იმავე ანგარიშით სძლია ერაყის ნაკრებს — 2-1 (2-0).

პირველი ჯგუფი

XVIII ტურის მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

რა მდგომარეობაა ლიდერთა ჯგუფში? „დინამო“ — „სამტრედიის“ დასწრებულ-დაუსწრებელი დუელი გრძელდება. თუ რა მოხდება მომავალში, მარჩიელობა შეიძლება თუნდაც კალენდარს და მათი მეტოქეების შესაძლებლობებს თუ გადავხედავთ. სულ სხვაა „მარგვეთი“. ლიდერებთან სამი ქულის სხვაობის შემცირება, ცხადია, საკუთარი შანსების მაქსიმუმის რეალიზაციით შეიძლება მხოლოდ, თანაც „დინამომ“ და „სამტრედიამ“ უნდა წაიფორხილონ.

„მარგვეთი“ წყალგამყოფივითაა ცხრილში, „მეტალურგს“ და „კოლხეთსაც“ თავის გეგმები აქვთ, ასე რომ, ბრძოლის სიმწვავეს სწორედ ეს გუნდები შეიტანენ ჩემპიონატში, ოღონდ მათ ბათუმელები უნდა მივათვალოთ. ისე, „მარგვეთმა“ სერიოზული განაცხადი გააკეთა მას შემდეგ, რაც ამ ტურში შინ მოუგო „შევარდენს“ 1-0. ცხადია, ევროტურნირების კიდევ ერთ პრეტენდენტს „მეტალურგს“ ჰაერივით ჭირდებოდა მოგება და მიაღწია კიდეც მიზანს, 2-0 სტუმრად სძლია „კახეთს“. სტმურად მოიგეს ბათუმელებმაც „სიონთან“ 1-0 და სამტრედიელებმა სენაკელებთან 2-1. შინ დამარცხდა აგრეთვე დურუჯი (გასაკვირი აღარაა) ზუგდიდელებთან 0-1. „გურიამ“ „ტორპედოსთან“ გამარჯვებით (2-0) ალბათ რწმენა შეიძინა, რომ თავს დააღწევს სახიფათო ზონას. როგორც იტყვიან, ყველაფერს პატრონი უნდა, ლანჩხუთშიც გამოჩენილა ასეთი პატრონი.

ერთი სიტყვით, XVIII ტურში სტუმრებმა ხუთ მატჩში იმარჯვეს, რაც იშვიათია, მასპინძლებმა კი თავიანთი სატურნინო მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი გაუშვეს ხელიდან, თუმცა... „ძალა აღმართს ხნავს“. მაგრამ არის კი ეს ძალა რეალური? ამას აგერ,XIX ტური უკეთ გვიჩვენებს.

დღემდე ჩემპიონატში ბურთების შეფარდებაა 512-512 („დინამო“ — „კოლხეთის“ მატჩის მიმოხილვა იხ. მე-5 გვერდზე).

მიმომხილველი

გათამაშების ცხრილი

პირველი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	18	13	4	1	54-9	43
„სამტრედია“	18	13	4	1	59-21	43
„მარგვეთი“	18	13	1	4	51-17	40
„მეტალურგი“	18	13	0	5	39-20	39
„კოლხეთი“	18	12	2	4	42-27	38
„ბათუმი“	18	11	4	3	44-15	37
„ტორპედო“	18	10	4	4	41-25	34
„დილა“	18	8	4	6	30-28	28
„შევარდენი“	18	6	2	10	25-33	20
„ზუგდიდი“	18	6	1	11	28-44	19
„კახეთი“	18	5	3	10	17-37	18
„ივერია“	18	5	2	11	18-34	17
„ეგრისი	18	4	2	12	29-44	14
„სიონი“	18	4	0	14	15-36	12
„გურია“	18	4	0	14	15-47	12
„დურუჯი“	18	0	1	17	5-75	1

დაჯილდოება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა სპორტის საპატიო ოსტატი, ექსტრა-კლასის საერთაშორისო მსაჯი ჯუმბერ დავლიანიძე.

* * *

ქართული სპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სამმართველოს უფროსი იროდი ბეჟაშვილი.

ჩემპიონისა და ექვსი პრიზიორის

პარიზში დამთავრდა ევროპის პირველობა ძიუდოში კადეტთა (1979 — 80 წ.წ.) შორის. მარსელ სერდანის სახელობის სპორტის სასახლეში თავი მოიყარა სხვადასხვა ქვეყნის 53 ნაკრების 450-მა მონაწილემ. ტურნირი იყო პირადი, მაგრამ მასპინძლებმა არაოფიციალურად გუნდური შედეგებიც გამოიყვანეს. პირველი ადგილი ხვდათ ფრანგებს, მეორე საქართველოს ნაკრებს, რომელმაც ერთი პირველი და 6 მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ევროპის ჩემპიონი გახდა 55 კგ წონის წარმომადგენელი ლაშა სარდანაშვილი (თბილისი, „შევარდენი“), რომელმაც ხუთი ბრძოლა ჩაატარა და ხუთივე მოიგო (მწვრთნელი ლევან ბიგანიშვილი).

მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 50 კგ-ში გელა ბარათაშვილი (ხაშური, „მორკინალი“) და დავით მარგოშვილი,55კგ-ში დავით მჭედლიანი, 60 კგ-ში ვახტანგ ნიკუჭაიძე, 65 კგ-ში გიორგი ნადირაშვილი (ყველა — თბილისი, „მორკინალი“), 86 კგ-ში ავთანდილ ზვიადაური (ახმეტა, „შევარდენი“).

პირველობისთვის საქართველოს ნაკრებს ამზადებდნენ: ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვაჟა ბალხამიშვილი და მწვრთნელი ზურაბ კახაბრიშვილი.

სოკის პრეზიდენტი პენსიაზე გასვლას არ აპირებს

„დაგენს ნოჰეტერი“ შვედეთის უდიდესი დილის გაზეთი ყოფილა. აი, სწორედ ამ გაზეთის კორესპონდენტს ზღაპრულად გაუმართლა: პატივი ხვდა ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკი) შტაბ-ბინა მოენახულებინა და ინტერვიუ აეღო კომიტეტის ყოვლისშემძლე ლიდერისგან ანტონიო სამარანჩისგან.

● ზოგს რომ ჰკითხო, მსოფლიოში სამად-სამი ნაღდი პრეზიდენტია: კლინტონი, ელცინი და სამარანჩი. იმასაც ამტკიცებენ, თითქოს სოკი თქვენს დუდუკზე ცეკვავს. რას იტყოდით ამაზე?

— ყველაფერი ეს სისულელეა! — მოუჭრა სამარანჩმა. — დიახ, მე მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ, ოღონდ მხოლოდ სპორტში; თანაც სოკი სულაც არა ჰგავს ერთი კაცის შოუს...

● სოკს ხშირად აკრიტიკებენ არადემოკრატიულობისათვის. მისი ჩაბერებული წევრები თვითონ ირჩევენ ახალ კოლეგებს. მსოფლიოში არ არის ინსტანცია, რომელიც გავლენას მოახდენდა სოკზე–

— წესდება ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელმა ბარონ დე კუბერტენმა დაწერა. მე აქ არაფერს არ ვთხზავ; ისე, ყველა საკითხი სოკის სესიებზე და აღმასრულებელ კომიტეტში წყდება, — თქვა პრეზიდენტმა. ეს ორგანიზაციები ჩემს დუდუკზე როდი ცეკვავენ. ზოგჯერ მხარს მიჭერენ, ზოგჯერ კი არა...

სამარანჩი სოკის პრეზიდენტის პოსტზე 1980 წელს აირჩიეს და მაშინვე შარში გაეხვია. იმ წელიწადს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს ლოს-ანჯელესში სრულიად მსოფლიოს თამაშების ბოიკოტირება 1984 წელს.

1984 წლის დასაწყისში სოკი ცდილობდა მოსკოვი დაერწმუნებინა უარი ეთქვა ბოიკოტზე და ბოლოს და ბოლოს მიიღო კიდეც არაოფიციალური დაპირებები: საბჭოთა ათლეტები გაემგზავრებიან ამერიკაშიო.

იხ. მე-6 გვ.

ხუან ანტონიო სამარანჩი

იუბილე

წლები ნაღვაწით ფასდება

ძნელია იცხოვრო ისე, რომ არ გყავდეს მომდურავი და შენი სახელის გაგონებაზე მტერ-მოყვარე მხოლოდ პატივისცემითა და მოწიწებით იმსჭვალებოდეს. ჯუმბერ დავლიანიძემ ასე იცხოვრა ექვსი ათეული წელი და ჩვენი დიდი სურვილია, რომ კიდევ ერთი ამდენი სიტკბოსა და სიხარულში გაატაროს.

ალბათ ბედისწერა იყო, რომ ცხოვრების გზის დასაწყისშივე საინტერესო ხალხთან მიუხდა ურთიერთობა. ჭიდაობას აზიარეს პეტრე იორდანიშვილმა და გიორგი როსტიაშვილმა — მათი მხარდაჭერა და კურთხევა ყველაზე მეტად იყო საჭირო ახალგაზრდა ყმაწვილის ფიზიკური და სულიერი ჩამოყალიბებისათვის.

მაგრამ იგი არ აღუზრდიათ მხოლოდ მოჭიდავედ. ჯუმბერი კარგი სპორტსმენიც იყო და თავისი ქვეყნისთვის სასარგებლო ადამიანიც. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ სპორტით გატაცებულმა და ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებულმა ახალგაზრდამ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კედლებში ორმაგი განათლება მიიღო, ჯერ როგორც ინჟინერ-ტექნოლოგმა, მერე როგორც გეოლოგიის სპეციალისტმა. მისი პროფესიული განათლების გვირგვინი კი ის იყო, რომ 33 წლისამ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა.

მის სპორტულ ღირსებებსა და დამსახურებებზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება. იგი არ ყოფილა მსოფლიოს ან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (მაშინ, საჭიდაო ოლიმპზე ასვლის ბევრი ღირსეული მსურველი იყო და ამიტომაც სულ ზემოთ დიდი სივიწროვე იგრძნობოდა), მაგრამ ერთგულად და თანმიმდევრულად იცავდა საქართველოს ღირსებას სხვადასხვა პრესტიჟულ ტურნირში: ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო გუნდთან ერთად, დაიმსახურა სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედალი, ბევრჯერ აქვს მოგებული საქართველოს ჩემპიონატი ქვესაშუალო, საშუალო და ქვემძიმე წონებში, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი შვიდჯერ გახდა, სამჯერ — პროფსაბჭოს ჩემპიონი, ორჯერ ფლობდა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს...

ჯუმბერის ხასიათის ერთი დიდებული შტრიხი ისიც გახლავთ, რომ სიმართლის მოყვარულია, სამართლიანი კაცის სახელი აქვს დაგდებული. სწორედ ამ ფასდაუდებელმა თვისებამ აპოვნინა ერთხელ კიდევ საკუთარი თავი, ოღონდ უკვე არა როგორც მოჭიდავეს, არამედ როგორც არბიტრს, სხვისი ოსტატობის შემფასებელს და წესის დამცველს.

საერთაშორისო ექსტრა-კლასის არბიტრებით ჩვენი სპორტი დიდად არ არის განებივრებული. ჯუმბერს ამ რანგში უმსაჯია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, მონაწილეობა მიუღია ოლიმპიური თამაშების მსაჯთა კომისიის მუშაობაში. იგი იყო და ახლაც ხშირად არის საერთაშორისო ტურნირების მთავარი მსაჯი და კოორდინატორი. სხვათა შორის, ჯუმბერი პირველი ქართველი არბიტრია, რომელსაც სრული ნდობა გამოუცხადა მშვენიერთა სქესმა და ორჯერ ანდო ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობა თავისუფალ ჭიდაობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალები არასოდეს შემცდარან მამაკაცის შეფასებაში...

საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ თბილისში, სასტუმრო „აჭარაში" საზეიმოდ აღნიშნა ჯ. დავლიანიძის იუბილე. ეს იყო მართლაც დაუვიწყარი შეხვედრა თუნდაც იმიტომ, რომ დიდი ხნის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და არა მხოლოდ ჭიდაობის, არამედ ქართული სპორტის ბრწყინვალე წარმომადგენლები, სპეციალისტები, სპორტის თაყვანისმცემლები.

ჯუმბერ დავლიანიძე — არბიტრი!

რუბრიკის პრემიერა

FAIR PLAY

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკი) შექმნის დღიდან ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო სპორტული მოძრაობის, მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა. სეოკი **1992** წელს სამართლიანი თამაშების საერთაშორისო კომიტეტშიც გაერთიანდა. ეს კომიტეტი **1964** წელს შეიქმნა და სოკის ეგიდით მუშაობს. მისი საპატიო პრეზიდენტებია ლორდი კილანინი და ხუან ანტონიო სამარანჩი. პრეზიდენტია ვილი დაუმე (გფრ). ძირითადი სპონსორებია „კოკა-კოლა", „ადიდასი", „ბურდა"— კომიტეტი ყოველწლიურად ავლენს სპორტსმენს (გუნდს), რომელმაც თავის შესაძლო წარმატებას ანაცვალა გაჭირვებაში ჩავარდნილი კოლეგის (კოლეგების) დახმარება, ან გამოიჩინა სხვა სახის სპორტული რაინდობა, აგრეთვე მუშაკს, ვინც თავის საქმიანობით ენერგიულად ემსახურება სამართლიანი თამაშების იდეალებს. ამასთან, კომიტეტი გამოსცემს კრებულს, სადაც ასეთი ფაქტებია თავმოყრილი.

ადრე ჩვენთვის დახშული იყო საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან პირდაპირი ურთიერთობის გზები. ამდენად, ბევრი რამ, რომელიც ალბათ სავსებით შეესატყვისებოდა ზემოხსენებული კომიტეტის მოთხოვნებს, ისევ და ისევ მხოლოდ ჩვენს შორისვე რჩებოდა სანიმუშოდ და სამაგალითოდ. ცხადია, წარსულს აღარაფერი ეშველება, მაგრამ იქნებ დადგეს დრო და საერთაშორისო კომიტეტი დაინტერესდეს კიდეც სოკის ახალ წევრ ქვეყნებში ადრინდელი ასეთი ფაქტებით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ „ლელოს" ფურცლებზე გაგვეხსნა ახალი რუბრიკა **FAIR PLAY,** სადაც ყველაფერი აღინუსხება, ძველიც და ახალიც, ბევრისთვის ნაცნობი და ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობი სამართლიანი თამაშის ფაქტები. ვინ იცის, იქნებ საერთაშორისო კომიტეტის ერთ-ერთ კრებულში საქართველოდან მიწოდებულმა ფაქტებმაც დაიმკვიდროს ადგილი.

მკითხველისთვის უფრო ნათელი რომ იყოს, თუ რა არის სამართლიანი თამაშების პრინციპი და ვინ რით იპყრობს მისი კომიტეტის ყურადღებას, საქართველოში დაფიქსირებულ ფაქტებთან ერთად, დროდადრო **FAIR PLAY**-ის ზოგიერთ ადრინდელ ლაურეატებსაც გაგაცნობთ.

როგორც ზემოთ ითქვა FAIR PLAY-ის საერთაშორისო კომიტეტი შეიქმნა 1964 წელს და პირველი ორი ლაურეატიც მაშინ გამოვლინდა. გავეცნოთ მათ.

1964 წელი. ევგენიო მონტი (იტალია), ბობსლეი.

ბობსლეისტთა შეჯიბრების დროს, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ინსბრუკში, ფინალის წინ, ერთნაირი დრო აღმოაჩნდათ ბრიტანელ ტონი ნეშსა და იტალიელ ევგენიო მონტის, მაგრამ ნეშს აღარ შეეძლო ფინალში გამოსვლა, რადგან მარხილის ნაწილი გაუტყდა. მონტი საკუთარი მარხილიდან ხსნის საჭირო ნაწილს და უგზავნის ნეშს, რომელიც შეაკეთებს მარხილს და სარეკორდო დროში ასრულებს დაშვებას. ნეში ოლიმპიურ ოქროს მედალს ეუფლება.

ლარს და სტიგ კოლები (შვეცია), აფროსნობა.

ძმები კოლები, როგორც ერთი ეკიპაჟის წევრები, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდნენ. მათი ავსტრალიელი მეტოქეები უეცრად გადაყირავდებიან წყალში შეჯიბრების პროცესში. ძმები ნებაყოფილობით წყვეტენ ასპარეზობას და გამარჯვებაზე ფიქრის ნაცვლად მეტოქე ეკიპაჟს გადაარჩენენ.

ახლა გავეცნოთ მაგალითებს ჩვენი სპორტული ცხოვრებიდან

მეტოქისა და მეგობრის ხელი

„სამართლიანი თამაში" მოითხოვს კეთილშობილური ქცევის გამოვლინებას მეტოქისადმი უშუალოდ პაექრობის დროსაც".

„სპორტის მანიფესტიდან"

60-იანი წლების ქართველი მოცურავე ბადრი ლეჟავა მოგვითხრობს: „ლენინგრადში უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო პირველობა ტარდებოდა. საერთო შედეგისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ესტაფეტა, რომელსაც მე ვიწყებდი და თანაგუნდელები აგრძელებდნენ. გამომიძახეს სტარტზე, ტანთ გავიხადე და ელდა მეცა: ოსტატის საცურაო ტრუსი სასტუმროში დამრჩენოდა. ოსტატები კი, ახალი წესის თანახმად, ამ ახალი ფორმის გარეშე შეჯიბრებაზე არ დაიშვებოდნენ.

ჩემი გაჭირვება შეამჩნია ერევნის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, განზე გამიხმო, მომცა ტრუსი და ჩემი გაცურვის დამთავრებამდე მოთმინებით მიცდიდია ტრიბუნებს უკან მიმალული. ჩემთვის უცნობი ერევნელი მეგობრის წყალობით ჩვენი გუნდი, რომელიც ერევნელთა ერთ-ერთი მთავარი მეტოქე იყო, საბედისწერო 0 ქულას გადაურჩა.

* * *

იმავე ქალაქში ველოსიპედისტთა შეჯიბრების დროს ერევნელ სტუდენტებს მოძველებული სატანდემო ველოსიპედი მთლად მოეშალათ და შეჯიბრებიდან მოხსნის მოლოდინში იყვნენ. ახლა ქართველი კოლეგები აღმოჩნდნენ სათანადო სიმაღლეზე და მათ მომავალ მეტოქეებს საკუთარი ველოსიპედი დაუთმეს.

მოსკოვში, 1947 წელს, ფიზკულტურის ინსტიტუტების სპარტაკიადაზე, საქართველოს ტანმოვარჯიშეებს, გარკვეულ გარემოებათა გამო, მწვრთნელის გარეშე მოუხდათ ჩასვლა. დაიწყო შეჯიბრება, რომელზეც ჩვენს ბიჭებს დახელოვნებული დამზღვევი არ ჰყავდათ. ეს კი, ყველას მოეხსენება, რა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოვარჯიშის ფსიქიკაზე.

უცებ მათთან მიირბინა ერევნელმა გრანტ შაგინიანმა, ცოტა მოითმინეთო, — უთხრა ბიჭებს და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს ტანმოვარჯიშეებს უკვე საიმედოდ იცავდა სახელოვანი სომეხი ტანმოვარჯიშის მოსკოველი მეგობარი, ფიზკულტურის საკავშირო ინსტიტუტის კათედრის პედაგოგი.

ავთანდილ ციბაძე,
პროფესორი.

ლისს იქით და ლისს აქეთ...

ბათუმი

ძველებური აზროვნებით, შეუძლებელია ერთმა კაცმა დიდ საქმეს მარტოსულმა დაადგას თავი. არადა, თურმე შეიძლება, ბოლო წლებში მაგალითიც ბლომად მოიძებნება. ერთი ასეთი პიროვნება გახლავთ ბათუმელი ანზორ ფუტკარაძე — აჭარის ნარდის ფედერაციის თავმჯდომარე. მისი დამსახურებაა, რომ ნარდი დიდად პოპულარულია მთელს რეგიონში, იმდენად პოპულარული, რომ ქალებმაც „გამოიღეს ხელი".

ლამაზი და დასამახსოვრებელი გამოდგა „დედის დღისადმი" მიძღვნილი ასპარეზობა, რომელიც ახლახან გაიმართა ბათუმში. ორგანიზატორებს უმალვე გამოუჩნდა სპონსორი რეგიონალური საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის" და პირადად მისი ხელმძღვანელი და აჭარის კულტურის ფონდის დირექტორი ქალბატონი მაგული გოგიტიძე-აბაშიძე. სხვადასხვა ასაკის სამ-სამი მონაწილით დაკომპლექტებული 14 გუნდი ჩაება პაექრობაში. ბევრმა ორგანიზაციამ დააწესა პრიზები და ნომინაციის სიმრავლის წყალობით, გულნაკლული თითქმის არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა.

ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ გამარჯვებულს ეძლეოდა რეკომენდაცია მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. ეს პატივი წილად ხვდა ბადმინტონისა და მაგიდის ჩოგბურთის აჭარის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ნანა გოგიშვილს, რომელმაც ფინალში თამარ ხინკალაძეს აჯობა. მესამე ადგილი კი მაია მანჯავიძემ და ნათია ქევხიშვილმა გაიყვეს.

გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. კონცერნ „აჭარყოფსერვისი", 2. გაზეთ „აჭარის" გუნდი „მეტეორი", 3. სამკერვალო ფაბრიკა „სამაია" და სავაგონო დეპო „მატარებელი".

მოასპარეზეებს დარბაზი დაუთმო აჭარის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (ნოდარ თამაზაშვილი), რამაც განაპირობა შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება.

„ლელოს" საკ. კორ.

ნანა გოგიშვილი

საჩხერე

გასული წლიდან აქ კვლავ დაიწყო გამოცოცხლება სპორტულმა ცხოვრებამ. შარშან ქუთაისში გამართულ იმერეთის რეგიონის პირველობაში საჩხერელებმა დაიკავეს II გუნდური ადგილი 405 ქულით, ქუთაისის შემდეგ. შეჯიბრება ჩატარდა სპორტის 14 სახეობაში.

წლეულს, თებერვალში, გაიმართა რაიონის პირად-გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში. პირველი ადგილი დაიკავა ჭორვილის საშუალო სკოლამ, მეორე იყო ჩიხის, მესამე — საჩხერის პირველი საშუალო სკოლის გუნდი.

პირად პირველობაში ჩემპიონი გახდა ჭორვილის საშუალო სკოლის დირექტორი თამაზ ქემერტელიძე, ქალებში იტავაზის საშუალო სკოლის დირექტორი ლილი ზუმბაძე.

გოგონებში გაიმარჯვა მოძველმა მოსწავლემ ნათია ნოზაძემ, ჭაბუკებში — ჭორვილელმა ლევან ბერძენიძემ.

თამაზ ლაშხი
„ლელოს" საკ. კორესპონდენტი
იმერეთის რეგიონში.

ბაკურიანი

დედა, მამა და 2 შვილი იყო აუცილებელი სრული გუნდისათვის — ასეთი გახლდათ მოთხოვნა შეჯიბრებისა, რომლის დევიზია: „ოჯახის წევრებით სტარტზე!" ღონისძიება ბაკურიანში ჩაატარა თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ, პროგრამა კი მოიცავდა სათხილამურო ესტაფეტას, ციგებით რბოლას და ტურისტულ მრავალჭიდს. წარმატება წილად ხვდა გლდანის რაიონს, მეორე ადგილზე გავიდა ნაძალადევის, მესამეზე — დიდუბის რაიონის წარმომადგენლები.

ამ საინტერესო და საჭირო ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიიღო მხოლოდ კრწანისისა და სამგორის რაიონებმა. რატომ? იქნებ გვიპასუხონ კიდეც.

რა ხდება ქვეყანაზე

● ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო საკმაოდ მკაცრი კანონი დოპინგის გამავრცელებელთა მიმართ. ამიერიდან სტეროიდებითა და სხვა მსგავსი საშუალებებით მოვაჭრეებს ემუქრებათ თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და დიდი ფულადი ჯარიმა. შინაგან საქმეთა მინისტრის ტომ სეკვილის აზრით ასეთი სიმკაცრე სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე ზრუნვითაა ნაკარნახევი.

● 15 ივნისს სტარტს აიღებს პოპულარული ავტორბოლა „ლე-მანის 24 საათი". შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი სხვებთან ერთად განაცხადა „ფორმულა-1"-ის ოცდაშვიდმა ყოფილმა მრბოლმა. მათ შორისაა „ფორმულის" სამგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი ნელსონ პიკე და იმავე „ფორმულის" ჩემპიონი, ამერიკელი მარიო ანდრეტი. პირველი მიუჯდება „მაკლარენ ფ-1"-ის საჭეს, მეორე კი „პორშე-911"-სას.

● ნიგერიელი მძლეოსნები მერი ონიალი, დავიდსონ ეზინვა და ოსმონდ ეზინვა მხილებულნი არიან მასტიმულირებელი პრეპარატების მიღებაში. საერთაშორისო ფედერაციამ მათ 3 თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ნიგერიელების გადაწყვეტილი აქვთ შეიტანონ აპელაცია ფედერაციაში. საქმე ისაა, რომ ეფედრინი შედის ამ პრეპარატების შემადგენლობაში, რომლებსაც სპორტსმენები გაციების წინააღმდეგ იღებენ. ზემოთ აღნიშნულ მძლეოსნებს კი სწორედ ეფედრინის კვალი აღმოუჩინეს ორგანიზმში. აქედან, დისკვალიფიკაციის შეღავათიანი ვადებია. როგორც იუწყებიან სამივე დაჯილდოვებული მძლეოსანი [illegible], ვინაიდან დისკვალიფიკაციის ვადა მაისში მთავრდება.

● მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მხტომელი, კუბელი ივან პედროსო ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა. მაგრამ მწვრთნელები ფიქრობენ, რომ ეს არ დაარღვევს სპორტსმენის ვარჯიშის გრაფიკს ოლიმპიური თამაშების წინ. ექიმების აზრით სამკვირიანი შესვენება მისთვის სასარგებლოც კი იქნება.

● ცნობილი ავსტრალიელი მოცურავე, მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი სიუზან ო'ნილის აზრით ჩინელ მოცურავეებს ოლიმპიადამდე უკვე ექნებათ დოპინგ-პრობლემები. ო'ნილის მხედველობაში აქვს ბოლოდროინდელი სკანდალი, როცა აკრძალული სტეროიდების გამოყენებაში მხილებული იყო 19 ჩინელი მოცურავე. თავად ავსტრალიაში კი წელს აიღებენ 3500 ანალიზს. რაც იმას ნიშნავს, რომ შემოწმებას გაივლის ამ ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა დაახლოებით 90 პროცენტი.

რა ხდება ქვეყანაზე

ეს «მფრინავი» ზაურ კალოევი...

ბორის პაიჭაძისთვის რომ გეკითხათ რა არის ფეხბურთი, მაშინვე გიპასუხებდათ — ბურთის ფეხით თამაში!

აი, ზაურ კალოევს კი რომ დაეკითხოთ, წარმოიდგინეთ, ცოტა სხვანაირად გიპასუხებთ — თავით თამაშიაო!

სწორია ორივე დიდოსტატი, მართლაც და ვის რა ეხერხება: ბ. პაიჭაძე დიდებული ბომბარდირი იყო, მაგრამ მისი თავით გატანილი გოლები რაღაც არ გვახსოვს ერთის მეტი (რიგის „დაუგავასთან“ 1950 წლის 22 ნოემბერს), აი, კალოევს კი მოგეხსენებათ, მეტწილად სწორედ თავური დარტყმით გაჰქონდა ბურთი.

თბილისის „დინამოს“ არასოდეს აკლდა თავით თამაშის ოსტატები, თუნდაც ვიქტორ ბერეჟნოი, ბორის ფროლოვი, ნიაზ ძიაპშიპა, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, მაგრამ აი ზაურ კალოევმა, შეიძლება ითქვას, სრულყოფამდე აიყვანა „მეორე სართულზე“ თამაშის ხელოვნება.

— არ გებეჟებოდათ მაინც თავი ამდენი დარტყმისგან, ან წნევა მაინც არ გიწევდათ? — გავეხუმრე სპორტის დამსახურებულ ოსტატ ზაურ კალოევს.

— წარმოიდგინეთ რომ, არა! ისე კი თითო დარტყმის შემდეგ ერთი ღერი თმა მაინც მცვიოდა თავიდან, თუ გოლი გამქონდა — შეიძლება ორი ღერიც, — იტაცებს ხუმრობას ჩვენი მოსაუბრე.

— ნაძალადევში, ჩოდრიშვილისა და ლოტკინის ქუჩების შორიახლოს ერთი დიდი ხევი იყო. სწორედ აქ იკრიბებოდნენ უბნის ბიჭები ხშირ-ხშირად და ორი გოლის თამაშს აჩაღებდნენ შვიდი-ცხრა წლის ბავშვები, გაუთავებლად დასდევდნენ გაცვეთილ „კამერა-ბალონჩას“. ყველა თავდამსხმელი იყო, ყველა ცენტრში თამაშობდა, ყველას გოლის გატანა უნდოდა. თუ იმ დღეს ჩვენს „დინამოს“ ჰქონდა მატჩი, ბიჭები დილიდანვე ემზადებოდნენ თავიანთი კერპების თამაშის სანახავად, წვეტებიან ღობეზე ძვრებოდნენ სტადიონის აღმოსავლეთი ტრიბუნის მხრიდან, სადაც ცხენოსანთა მილიცია შედარებით „თხელი“ იყო. აი, მხოლოდ ეს იყო, რომ ერთი ულვაშა მილიციელი პირდაპირ რისხვად მოევლინა ჩოდრიშვილის უბნის ბიჭებს. ზაური გასუსული მოკალათებულიყო მზიანი ტრიბუნის ერთ-ერთ კიბეზე და შეშინებულ მზერას არ აშორებდა ულვაშა წესრიგის გუშაგს — მგონი მას უფრო მეტხანს უყურებდა, ვიდრე თამაშს! ამჯერად ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა — დიდი ომის შემდგომი წლის ერთ-ერთი პირველი შეხვედრა იყო თბილისში ჩვენსა და მოსკოველ დინამოელებს შორის. მასპინძლები — პაიჭაძე, ბერძენიშვილი, გაგუა, სანაია, ანთაძე, ღოღობერიძე, სტუმრები — ბესკოვი, კარცევი, ხომიჩი, ტროფიმოვი, სემიჩასტნი, ბლინკოვი, სოლოვიოვები...

ზაურ კალოევი საბოლოოდ „მოიწამლა“ ფეხბურთით. ეს იყო 1946 წლის 26 აპრილს. ზაურს მაშინ 15 წელი შეუსრულდა.

მატჩიდან დაბრუნებულმა კალოევმა იმავე საღამოს გაიყვანა თავისი გუნდი „ხევის სტადიონზე“ ლოტკინელებთან თამაშზე.

— მახსოვს, იმ დღეს ბლომად გავიტანე ბურთი, მერე „წინ“ რომ დავიღალე, კარში დავდექი და ბურთი არ გამიშვია.

ასეთ, „გაფრენილ“ მაღალ ნახტომში გაიტანა ზაურმა მეორე ბურთი მოსკოვის „სპარტაკის“ კარში (მას ერთდროულად 4 სპარტაკელი დარაჯობდა — მარცხნიდან: ა. მასლიონკინი, ვ. დიკარევი, გ. ლოგოფეტი და ა.ისაევი).

ტოლ-ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ ზაფხულობით პატარა ზაურის ჩამოსვლას სოფელ ნათლისმცემელში, (გორის რაიონში). იმ მთიან სოფელში (ნათლისმცემლობა ტრადიციულად ყოველი წლის 14 ივლისს იმართება) ცხოვრობდა ზ. კალოევის და ნადია. ბიჭები მთელი დღე ფეხბურთს თამაშობდნენ, ჰიდაობდნენ, ცურაობდნენ მდინარე ვიცხავში, ეკლესიის წინ მდებარე მოედანზე უზაუროდ ფეხბურთი არ გაიმართებოდა. თბილისელმა ბიჭუნამ ყველა აიყოლია. აჩვენებდა ტოლ-ამხანაგებს, როგორ ატყუებს მცველებს ბორის პაიჭაძე, როგორ ურტყამს პენალტს მიხეილ ბერძენიშვილი, როგორ თამაშობს თავით ვიქტორ ბერეჟნოი. მოგვიანებით, როდესაც ზაური უკვე „დინამოში“ ჩაირიცხა, მან „მწვრთნელობაც“ იკისრა — დაუღალავად ასწავლიდა თამაშს თავის პატარა დისშვილს — თემურ დუდაშვილს, რომლისგანაც მოგვიანებით ურიგო ფეხბურთელი არ დადგა (წარმატებით თამაშობდა ცენტრალურ მცველად სკოლაში სწავლისა და ჯარში ყოფნის პერიოდში).

ზაური იმხანად 51-ე სკოლაში სწავლობდა, მაგრამ როდესაც რამდენიმე მისი უბნელი 35-ე საფეხბურთო სკოლაში გადავიდა, ზაურმაც გადაწყვიტა იქ სწავლა. მართალია, მამამისი სასტიკი წინააღმდეგი იყო „სწავლას მიხედეო!“ მაგრამ ფეხბურთზე ერთთავად გადარეული ბიჭი ბუცებს მალულად ინახავდა სხვენში.

ერთ დღეს ზაური ოცდამეთხუთმეტელების ვარჯიშზე მივიდა ლენინის სახელობის ძველ სტადიონზე, მინდვრის სიახლოვეს ჩამოჯდა რკინის მესერზე. მგონი მის გარდა ამ დროს ყველა თამაშობდა. თვალებანთებული ბიჭუნა მწვრთნელმა ჯონდო შავდიამ შეამჩნია, ალბათ თავისი გუნდიდან ეგონა, მკაცრად უკივლა: „შენ რას დამჯდარხარ აქ, გამოდი, ითამაშე!“ ჯ. შავდიამ გახარებულ ზაურს იქვე თავიანთი სკოლის ტრადიციული, შინდისფერი ზოლიანი მაისური მისცა და, წარმოიდგინეთ, ბუცებიც გამოუტანა. ის იყო მხოლოდ, რომ მარჯვენა ბუცი 36 ნომერი გახლდათ, ზუსტად ზაურის ზომისა, აი მარცხენა კი... 42! ერთი სიტყვით, ახალბედამ ცალ ფეხზე ჩაიცვა ბუცი, მეორეთი კი ფეხშიშველა ითამაშა.

ავტორიტეტული კომისია არჩევდა ნიჭიერ ფეხბურთელებს 35-ე სკოლისთვის. ზაური ასაკით ყველაზე პატარა იყო, ტანით კი საკმაოდ მაღალი, მაგრამ გამხდარი, სუსტი. მთავარი მაინც ეს არ იყო — საქმე ისაა, რომ კალოევმა საკმაოდ კარგი ტექნიკა აჩვენა, თავით ბურთის კენწვლაში კი ყველა გააოცა.

მეორე დილით ზაური ადრიანად გამოცხადდა საქიმო კაბინეტში, გულდასმით გასინჯეს და ახალბედები ფეხბურთის სპეციალისტების კომისიას წარუდგინეს. ერთ-ერთ მათგანს აშკარად არ მოუვიდა თვალში გამხდარი, სუსტი აგებულების ყმაწვილი და კატეგორიული უარი თქვა მის მიღებაზე. მაგრამ ახლა ჯ. შავდია გაჯიუტდა — „ამ ბიჭმა გუშინ ყველას აჯობა!“ — და... ქალაქის სპორტკომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს, ძველ ფეხბურთელს გრიგოლ ფაჩულიას მიმართა საშველად. იმავე დღეს ზაურ კალოევი 35-ე სკოლაში ჩარიცხეს...

ნორჩებთან ვარჯიშს ატარებდნენ ჯუანშერ ჭეჭელავა, ვლადიმერ გვარჯალაძე, ოტია ჟორდანია, ჯონდო შავდია და „ფიზრუკა“ — შოთა მერკვილაძე. ორიოდე წლის შემდეგ სკოლას გაიოზ ჭეჭელავა ჩაუდგა სათავეში. ზაურ კალოევი მთავარ გუნდში შეიყვანეს შოთა კიტიასთან, შალვა ჭრელაშვილთან, თუნა აბესაძესთან, ცაცო ფაცურიასთან, თამაზ ჯანელიძესთან, ირაკლი კახიძესთან, ავთო ჭკადუასთან და სხვებთან ერთად. იუნიორთა ნაკრები (ასე დაარქვეს ამ გუნდს) ამხანაგურ მატჩში თვით თბილისის „დინამოს“ შეახვედრეს. თამაში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა 1949 წლის ზაფხულში. იუნიორებმა გაიმარჯვეს ძნელ ბრძოლაში — 4-3. ორი ბურთი მეკარე სერგო შუდრას კარში კალოევმა გაიტანა. ზაურს ამ დღეს ორი „დარაჯი“ მეურვეობდა — ე. ტანტიბა და მ. ჭელიძე. მათ გარდა დინამოელთა რიგებში იყვნენ გაგუა, ჯოჯუა, ბერეჟნოი, ზაზროევი, ღოღობერიძე, თოდრია, ელოშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ იუნიორები „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობასაც შეხვდნენ, მაგრამ ამჯერად ვერ გაუძლეს უფროსების ძალისმიერ ბრძოლას და წააგეს 2-6, ამ მატჩებს საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი ვლადიმერ მოშკარკინი ესწრებოდა, რომელმაც მოსკოვში სენსაციური ამბავი ჩაიტანა: საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები საკავშირო სპარტაკიადაზე ყველა გუნდს „დაანგრევს“. მალე მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამიდან... ფეხბურთი ამოღებულია!

ერთ მშვენიერ დღეს სკოლაში ზაურის მეგობარი, ძველი ოცდამეთხუთმეტელი არჩილ კილაძე მივიდა: „მწვრთნელი ანდრო ჟორდანია გიბარებსო...“

ასე მოხვდა ზაურ კალოევი თბილისის „სპარტაკში“. შეკრებაზე წაიყვანეს მცხეთაში. იმ პერიოდში სპარტაკელთა თავდასხმის ცენტრში ვლადიმერ ლომაია თამაშობდა, რომელმაც ახალგაზრდა ნიჭიერ ფორვარდს დაუთმო პოსტი და თავად მარცხენა შუამარბად გადაინაცვლა. კალოევმა აქ ორი სეზონი ითამაშა, თუმცა გრძნობდა, რომ „დინამოს“ სულ თვალი ეჭირა მასზე. აკი 1951 წელს ჩვენი გუნდის ახალმა მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა ზ. კალოევი ჯ. გოგოლიძესთან, ა. ხურცაძესთან და ჯ. გაგნიძესთან ერთად დინამოელთა შემადგენლობაში წაიყვანა საერთაშორისო მატჩებზე პოლონეთში.

იხ. მე-5 გვ.

ხუთი რგოლის გარშემო

პირველი ფილიპინელი, ვინც ოლიმპიური ჩემპიონი გახდება, ჯილდოდ მიიღებს 10 მილიონ პესოს (385 ათას დოლარს), აგრეთვე, სახლს, მიწის ნაკვეთს და უცხოური მარკის ავტომანქანას. ჯერჯერობით ფილიპინელ სპორტსმენთა შორის საუკეთესო ოლიმპიური შედეგი ნაჩვენები აქვს მოკრივე ენტონის ვილანუევას. 1964 წელს ტოკიოს თამაშებში მან ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ფილიპინების სპორტის მინისტრის ჯემილიანო ლოპესის აზრით, ოლიმპიურ თამაშებში თავის გამოჩენის შანსი ისევ მოკრივეებს აქვთ. ხუთი მათგანი ატლანტის თამაშებისთვის აქტიურად ემზადება კუბაში.

ატლანტის ოლიმპიადაზე პრიზიორთა სამეულში მოხვედრისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა თავის სპორტსმენებს ფულადი პრემიებით დააჯილდოებს. ოლიმპიური ჩემპიონი მიიღებს 150 ათას რანდს (39 ათას დოლარს), ვერცხლის პრიზიორი — 100 ათასს (26 ათასი დოლარი), ბრინჯაოს პრიზიორი კი 50 ათასს (13 ათასი დოლარი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აპარტეიდის პოლიტიკისაგან განთავისუფლების შემდეგ მეორედ მიიღებს მონაწილეობას თამაშებში. ეს ქვეყანა ატლანტაში დიდ იმედებს ამყარებს მოცურავე ქალზე პენი ჰეინსზე, რომელმაც ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. აგრეთვე, 10.000 მეტრზე ქალთა რბენაში ბარსელონას ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ ელან მეიერზე.

ვინ იქნება მერვე?

წლევანდელი ველოსეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მსოფლიო თასის გათამაშება გახლავთ, რომელიც თერთმეტ ეტაპს მოიცავს და დამთავრდება 27 ოქტომბერს. იტალიაში, ბელგიასა და საფრანგეთში ამ ასპარეზობის 2-2 ეტაპი გაიმართება. თითო-თითო ეტაპს უმასპინძლებენ ჰოლანდია, ესპანეთი, ინგლისი, შვეიცარია და იაპონია.

მსოფლიო თასის გათამაშება ველოსპორტში 1989 წლიდან ტარდება. სხვადასხვა დროს საპატიო პრიზს ფლობდნენ:

1989 — შონ კელი (ირლანდია)
1990 — ჯანი ბუნიო (იტალია)
1991 — მაურიციო ფონდრიესტი (იტალია)
1992 — ოლაფ ლუდვიგი (გერმანია)
1993 — მაურიციო ფონდრიესტი (იტალია)
1994 — ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია)
1995 — იოჰან მიუზეუვი (ბელგია)

პრემიები და ლაურეატები

პარიზში მოეწყო საფრანგეთის სპორტის აკადემიის ყოველწლიური პრემიების გადაცემა. საპატიო სტუმრებად ამ საზეიმო ცერემონიალზე მიწვეული იყვნენ სოკის პრეზიდენტი ხუან'ანტონიო სამარანჩი და საფრანგეთის დედაქალაქის მერი ჟან ტიბერი.

1995 წლის პრემიების ლაურეატები გახდნენ სპორტულ სამყაროში კარგად ცნობილი ათლეტები, მათ შორის: „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონი, ესპანელი მიგელ ინდურაინი (მიიღო გრან-პრი), მსოფლიოს რეკორდსმენი სამხტომში, ინგლისელი ჯონათან ედვარდსი (გი ვინდელსტეინის პრიზი), ფრანგი ავტორალისტი პიერ ლარტინგი (ლორან პეჟოს პრიზი), ახალზელანდიელი იახტსმენი პიტერ ბლეიკი (სპორტული თავგადასავლების პრიზი), მსოფლიოს ჩემპიონი ხელბურთში, საფრანგეთის ვაჟთა ნაკრები (საუკეთესო გუნდის პრიზი).

თუმცა, ჯერ კაცმა არ იცის, ვინ არის შემდეგი...

შეიძლება შედგეს მატჩი, რომლის შემოსავალი ფანტასტიკური იქნება

მაიკ ტაისონთან დამარცხების სამი დღის შემდეგ ფრენკ ბრუნომ განაცხადა, რომ უმოკლეს დროში ერთხელ კიდევ იბრძოლებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. მაგრამ ვბს-ს ხელმძღვანელებმა ზრდილობიანად გააგებინეს, რომ ტაისონთან ხელახალი შეხვედრის შანსი მას აღარა აქვს. ბრუნოს მომავალი მეტოქე შეიძლება გახდეს რომელიმე სხვა მსოფლიო ჩემპიონი, ვთქვათ, ბრიუს სელდონი (ვბა) ან ფრანკ ბოტა (იბფ) ან კიდევ რიდიკ ბოუ (ვბო).

ბრუნოს სავარაუდო მეტოქეთა შორის ასახელებენ, აგრეთვე, მის თანამემამულეებს — ლენოქს ლუისსა და სკოტ უელჩს. მაგრამ ლუისის მენეჯერი ფრენკ მელონი ამ შეხვედრის ორგანიზაციას არარეალურად მიიჩნევს. ბრუნოსთან ბრძოლა ლუისისათვის, მისი აზრით, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ამასობაში ფრანკ ბოტას, სტეროიდების მიღებაში მხილებისათვის დისკვალიფიკაციას ელოდება. თუმცა, იგი არც თავის შეხვედრას გამორიცხავს ტაისონთან. ყოველ შემთხვევაში სიტყვიერი პოლემიკა „რკინის მაიკლთან“ მან უკვე დაიწყო. ამ დღეებში კი ოფიციალურად გამოიწვია კიდეც.

ვინ იქნება ტაისონის მომდევნო მეტოქე, ჯერჯერობით არავინ იცის. ამერიკის პრესაში კიდევ ერთი ახალი კანდიდატის გვარი გამოჩნდა. ეს არის პროფესიული კრივის ვეტერანი ჯორჯ ფორმენი. რამდენად რეალურია ტაისონ-ფორმენის შეხვედრის ორგანიზაცია, ძნელი სათქმელია. თუმცა, ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას დაბეჯითებით — ამ ორთაბრძოლას ფანტასტიკური, სარეკორდო შემოსავალი ექნებოდა.

პროფესიულ რინგზე

● 26 წლის ჩოლ ჩუ სოის (ჩრდილოეთ კორეა), რომელმაც ბარსელონის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა და მერე პროფესიონალებში გადავიდა, გადაწყვეტილი აქვს გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. ამ დღეებში იგი მიიღებს პროფესიონალის ლიცენზიას, პირველ ბრძოლას კი მიმდინარე წლის ზაფხულში გამართავს.

● იყო დრო, როცა ჯო ბუგნერი (ავსტრალია) მეტოქეობას უწევდა თვით მოჰამედ ალისა და ჯო ფრეზერს, ამჟამად 46 წლის ვეტერანი რეალურ ძალას არ წარმოადგენს კრივში. ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა ვბო-ს ვერსიით გამართულ ორთაბრძოლაში ინგლისელ სკოტ უელჩთან. მეექვსე რაუნდის მიწურულს ბუგნერი, რომელსაც უკვე მეორე რაუნდის შემდეგ ცუდად ჰქონდა საქმე, ნოკაუტში აღმოჩნდა.

● პანამელმა კარლოს მურილიომ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვბა-ს ვერსიით 49 კგ-ში. მე-10 რაუნდის დასაწყისში მისი მეტოქე, კოლუმბიელი ხოსე გარსია ბერნალი ნოკაუტში აღმოჩნდა.

● იმის გამო, რომ აწონვაზე დაშვებულ ნორმას — 47,6-კგ-ს გადააჭარბა, ტაილანდელმა რატანაპოლმა „დატჩბოი-ჯიმმა“ უბრძოლველად დაკარგა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული იბფ-ს ვერსიით. ფორმალურად მისი ბრძოლა ნიკარაგუელ სალვატორე კასტილიოსთან მაინც შედგა. ტაილანდელმა გამარჯვება მოიპოვა მე-11 რაუნდში, მაგრამ არაფერს ნიშნავდა იგი.

● ბრიტანელმა ნასემ ჰამედმა შეინარჩუნა ოქროს ქამარი ვბო-ს ვერსიით (57,2 კგ) მეორე ინგლისელთან საიდ ლოუელთან ბრძოლაში. ნოკაუტი ამჯერად სარეკორდოდ მოკლე დროში — 31 წამში დაფიქსირდა.

● როლ როკიჯანმა (გერმანია) დაამარცხა ამერიკელი ჯეი სნაიდერი და მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ვბო-ს ვერსიით 86,2 კგ-ში.

„ლელოს“ საჭადრაკო დარბაზი

ხელმძღვანელი
გივი გამრეკელი

ორი შეპირისპირებული „კ“

მოსკოვის „ექსპრეს-გაზეტამ“ გამოაქვეყნა საინტერესო მასალა მუდმივი მეტოქეების გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის შესახებ. გთავაზობთ ამ ჩანახატს მცირეოდენი შემოკლებით.



ТАБЛО

ЭКСПРЕСС СПОРТИВНЫЙ ВЫПУСК

КАСПАРОВ - КАРПОВ: ОТ ЛЮБВИ ДО НЕНАВИСТИ ОДИН ШАХ

ТВОИ КУМИРЫ

Спор двух великих «К» давно перешел с черно-белых клеток на личности. Действуют они как два маленьких разведцентра. У каждого есть осведомители, которые информируют о любом шаге визави. Соперники в курсе не только денежных дел друг друга, но и интимных. Штрихи к портретам шахматных королей подобраны не без их помощи.

ЭКСПРЕСС-УДАР

«МАСКИ-ШОУ» ПОЛЮБИЛИ

გარი კიმოვიჩი

ზოდიაქოს ნიშანი — ვერძი
საყვარელი საქმიანობა — სამთავრობო ბანკეტებზე სტუმრობა.
საყვარელი მწერალი — იაროსლავ ჰაშეკი
საყვარელი მომღერალი — ლუჩანო პავაროტი
საყვარელი სასმელი — ვისკი „თეთრი ცხენი“
ოცნება — ყველა ქალის გაბედნიერება

კასპაროვი პლეიბოი გახლავთ! მის დანახვაზე ქალიშვილები პირდაპირ დნებიან. ამაში „ეგ“-ს კორესპონდენტი არაერთგზის დარწმუნებულა — მის „ჰარამხანაში“ მიმზიდველი მოჭადრაკე ქალებიც არიან, პრესტიჟული რესტორნების ოფიციანტებიც, ჟურნალისტებიც (მართალია, პროვინციული გამოცემებიდან). მან თავისი სქესობრივი ცხოვრება საკმაოდ ადრე დაიწყო.

პირველი გახმაურებული რომანი 17 წლის ასაკში ჰქონდა „სოვრემენნიკის“ მსახიობ მარინა ნეელოვასთან. მაშინ გარი ჯერ კიდევ გამბიტებს სწავლობდა, მარინა კი ეკრანისა და სცენის ვარსკვლავი იყო. მსახიობი ქალი ხშირად მიატოვებდა ხოლმე რეპეტიციებს, პარიზისა და ლონდონისკენ მიიჩქაროდა, რათა ახალგაზრდა მოჭადრაკის საბრძოლო განწყობილებისათვის ხელი შეეწყო. თავისი გვირგვინი გარიმ მნიშვნელოვანწილად ამ ფანტასტიკური ქალის წყალობით მოიგო. რამდენიმე ხნის შემდეგ მარინას მშვენიერი გოგონა გაუჩნდა, რომლის მამა კასპაროვი არ გახდა, ანდა არ მოისურვა გამხდარიყო. ამბობენ, რომ მათ ქორწინებას წინ აღუდგა დიდოსტატის დედა — კლარა შაგენოვნა.

მსოფლიო ჩემპიონობაზე ამასწინანდელი მატჩის დროს გარი კასპაროვი თავის ოდესლაც ძვირფას მეორე ნახევარს — მარია არაპოვას შეხვდა. უკვე ორი წელია ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ — მარია თავისი პატარა გოგონა პოლინათი აშშ-ში გადაბარგდა. მას ნიუ-იორკის ყველაზე ფეშენებელურ რაიონში აქვს ბინა — ეტყობა, ეს გახლავთ თავისუფლების ფასი.

ძველმა სიყვარულმა ბრაიტონის ნათურების შუქზე, ეტყობა, კასპაროვს რამდენადმე დააკარგვინა წონასწორობა. ყოველ შემთხვევაში, ვერაგ ინდოელ ვიშვანათან ანანდთან პირველ შეხვედრებში იგი ძლივძლივობით გადარჩა, პარტიები ყაიმით დაასრულა. ასეთი ნომრები მას კარპოვთან არ გაუვიდოდა.

ანატოლი ევგენიევიჩი

ზოდიაქოს ნიშანი — ტყუპები
საყვარელი საქმიანობა — მშვიდობისათვის ბრძოლა
საყვარელი მწერალი — პაველ ბაჟოვი
საყვარელი მომღერალი — ხულიო იგლესიასი
საყვარელი სასმელი — კოკტეილი „სისხლიანი ენდშპილი“
ოცნება — ჩრდილოეთ პოლუსზე გასეირნება.

კარპოვი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი მოჭადრაკეა. როცა იგი თანხმდება მონაწილეობა მიიღოს რომელიმე ტურნირში, ფულს წინასწარ იღებს მომდევნო შედეგების მიუხედავად.

მთელ ამ თანხას იგი ანაწილებს: ზოგს ბავშვთა ტურნირების ჩასატარებლად ხარჯავს, ზოგი მშვიდობის ფონდში აღმოჩნდება ხოლმე (ანატოლი კარპოვი ხომ დღემდე მშვიდობის ფონდის პრეზიდენტია), ზოგსაც თავისთვის ინახავს. იგი საკუთარი თანხით აფინანსებს საჭადრაკო სკოლას და ერთ ზეგენიალურ ბიჭსაც ტიუმენში. ამბობენ, რომ ამ ყმაწვილისგან მალე ახალი ეივე გამოვა.

ახლა ანატოლი ევგენიევიჩს შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდა — თავისუფალ დროს ქაღალდს თამაშობს. იგი არ გამოტოვებს ხოლმე ტურნირებს ბელოტში, რომელიც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პატრონაჟით ტარდება. ერთი წლის წინათ მან ბანკიც კი მოხსნა — მილიონი მოიგო (რუბლი, რა თქმა უნდა). მართალია ამ თანხის ნახევარი პარტნიორს მისცა, რამდენადაც ბელოტს წყვილი თამაშობს. ერთხელ თვითმფრინავში, ლონდონიდან დაბრუნებისას საქმე რომ არ ჰქონდა, კასპაროვსაც კი ეთამაშა. როგორც ყოველთვის, ახლაც ახალგაზრდამ გაიმარჯვა „გარისთან მოგება ძნელია — თვლის კარპოვი — იგი მეტად იღბლიანია“.

ჩვენ კი მოცდა დაგვჭირდება, სანამ ეს ორი მეფე შავ-თეთრ უჯრებზე შეხვდება ერთმანეთს. ამ ჩემპიონების აზრით, ასეთი ორთაბრძოლის მოწყობა სავსებით შესაძლებელია. ამასთან, საპრიზო ფონდი იმაზე ნაკლები არ უნდა იყოს, ვიდრე ფიშერ-სპასკის მატჩის დროს იყო, ე.ი. როგორც მინიმუმი, 5 მილიონი დოლარი. აღმოჩნდებიან კი სპონსორები, რომლებიც ამ სუპერმატჩის ყველა პირობას დააკმაყოფილებენ?

ერთადერთი ნამდვილი ლაურეატი — მაია!

ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა ჟუჟა პოლგარმა 1997 წლისათვის უმთავრეს მეტოქეებად ჩათვალა სიუ-ჟუნი და მაია ჩიბურდანიძე. ორივე ამ დიდოსტატს შემოდგომაზე პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში მონაწილეობის პერსონალური უფლება აქვს. ამიერიდან მათ თითოეულ გამოსვლას მიმომხილველების დიდი ყურადღება მიექცევა, იგივე შეიძლება ითქვას, ყველა დანარჩენ პრეტენდენტზეც. ისე რომ, თანდათან გამოვლინდება ძალთა რა შეფარდებაა მსოფლიო ჩემპიონობის მაძიებელთა შორის.

და აი, ამ პრეტენდენტთა უმრავლესობამ თავი მოიყარა ბელგრადის ტრადიციულ 8 მარტის ტურნირში. აქ სიუ ჟუნიც აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის სასტიკად წაგების შემდეგ, გასაგებია, დასვენება არჩია. ბელგრადში კი 6 პრეტენდენტი ჩავიდა, დანარჩენი ექვსიც ცნობილი მოჭადრაკეები იყვნენ, რად ღირდა მარტო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობა.

დღეს, როცა უკვე ცნობილია ამ უძლიერესი შემადგენლობის ტურნირის შედეგები, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, მისი ერთადერთი ნამდვილი ტრიუმფატორი მაია ჩიბურდანიძეა. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ეს ახალი მიღწევა მორალურ მნიშვნელობასაც იძენს. ვინც ასეთ უძლიერეს ასპარეზობაში გაიმარჯვა, მას შეუძლია პრეტენდენტთა პაექრობაც მოიგოს!

მაიამ თავიდან ბოლომდე მეტად ძლიერად და თანმიმდევრულად ითამაშა. შეჯიბრების პირველ ნახევარში მას ორი სერიოზული მეტოქე ჰყავდა: შვედი პია კრამლინგი და უკრაინის წარმომადგენელი ალისა გალიამოვა-ივანჩუკი. როგორც ერთის, ისე მეორის მომზადება ძალიან მაღალი იყო, რასაც მათ მიერ მოგროვილი ქულათა რაოდენობაც ადასტურებს. მაგრამ, ბოლოს, კლასმა თავი იჩინა, ჩიბურდანიძემ მეტად ძლიერად ითამაშა ფინიშზე და უკანასკნელ პარტიებში 3 შესაძლებლიდან 2,5 ქულით ორივე მეტოქე ჩამოიტოვა. მაიას საბოლოო შედეგი ნამდვილად ბრწყინვალეა — 9 ქულა 11 შესაძლებლიდან. ეს მიღწევა თამამად შეედრება ჩიბურდანიძის ადრინდელ, ყველაზე უფრო ბრწყინვალე წარმატებებს.

8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა პია კრამლინგი. შვედ მოჭადრაკეს პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში გამოსვლის პერსონალური უფლება აქვს და, უნდა ვიფიქროთ, კიდევ ერთხელ შეეცდება იმის მიღწევას, რაც აქამდე ვერასოდეს შეძლო — შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს. არც ალისა გალიამოვა — ივანჩუკის მესამე ადგილია (7,5) რაიმე ახალი — ლვოველი დიდოსტატის ტალანტი ხომ კარგად არის ცნობილი.

7-7 ქულით IV-V ადგილები გაიყვეს ნანა იოსელიანმა და ალისა მარიჩმა (იუგოსლავია), ქართველი დიდოსტატი თავშეკავებულად თამაშობდა, სიმყარის დიდი მარაგით, დაახლოებით ისეთივე მანერით, როგორც ყველა უკანასკნელ შეჯიბრებაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როცა ნამდვილად „ჩართვა“ დასჭირდება, მთელ თავის ენერგიასა და შესაძლებლობას გამოავლენს. ალისა მარიჩმა კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი შემთხვევით როდი მიეკუთვნება თანამედროვეობის უძლიერესი მოჭადრაკეების რიცხვს.

დანარჩენი მონაწილეების შედეგები ასეთია: 6. სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) — 6,5. 7. ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია) — 5,5, 8. ალმირა სკრიპჩენკო (მოლდოვა) — 4,5. 9. ნონა გაფრინდაშვილი (საქართველო) — 4. 10-11. ინა გაპონენკო (უკრაინა) და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი პენ ჟაო ციანი (ჩინეთი) — 2,5-2,5. 12. სანია ვუკშანოვიჩი (იუგოსლავია) — 2 ქულა.

ორი რეიტინგი და იგივე გვარები

ამ დღეებში გამოქვეყნდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ვაჟთა ორი რეიტინგი — ერთი ფიდესი, მეორე — პროფესიულ მოჭადრაკეთა ასოციაციისა (პმა). შედარებისთვის გთავაზობთ პირველ ათეულებს:

ფიდე		პმა	
1. ვლადიმერ კრამნიკი	— 2775	1. გარი კასპაროვი	— 2780
2. გარი კასპაროვი	— 2775	2. ვლადიმერ კრამნიკი	— 2775
3. ანატოლი კარპოვი	— 2762,3	3. ვიშვანათან ანანდი	— 2763
4. ვასილი ივანჩუკი	— 2745 7	4. გატა კამსკი	— 2754
5. გატა კამსკი	— 2736,8	5. ანატოლი კარპოვი	— 2752
6. ვიშვანათან ანანდი	— 2727	6. ვასილი ივანჩუკი	— 2748
7. ვესელინ ტოპალოვი	— 2702,0	7, ვესელინ ტოპალოვი	— 2697
8. ალექსეი შიროვი	— 2683,5	8. იუდით პოლგარი	— 2694
9. ბორის გელფანდი	— 2682,2	9. იან ელვესტი	— 2674
10. ნაიჯელ შორტი	— 2679	10. ნაიჯელ შორტი	— 2666

საჭადრაკო ამოცანა

ეტიუდი

გია ნადარეიშვილი



მოგება

ღამის კონკურსი

ეს მოხდა თბილისში 1968 წლის ოქტომბერში, მალე იმის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრები ლუგანოში გაემგზავრა მორიგ საჭადრაკო ოლიმპიადაზე გასამარჯვებლად. დიახ გასამარჯვებლად, რადგან გუნდს, რაც უნდა მომხდარიყო, პირველი ადგილი მაინც ხელიდან არ წაუვიდოდა, მისი შემადგენლობიდან სულ უკანასკნელ მომენტში გამოიყვანეს მიხეილ ტალი. კომპრომატი ტიპიურად საბჭოთა იყო, როგორც იმ კაცის წინააღმდეგ, რომელიც „გალოშების“ მოპარვაში მონაწილეობდა. ნათელი არ იყო მხოლოდ ერთი რამ: მან თვითონ მოიპარა ეს „გალოშები“, თუ პირიქით — მას მოპარეს. ამჯერად გაიხსენეს სამწუხარო ისტორია, როდესაც რიგელს „თავისუფლების კუნძულზე“, ჰავანაში, ვილაცამ რესტორანში ბოთლი მოარტყა თავში. მართალია, ამ სევდიან ამბავს ტალისთვის ხელი არ შეუშლია ჰავანის საჭადრაკო ოლიმპიადის ფინიშზე ბრწყინვალე შედეგი ეჩვენებინა. სანამ ლუგანოში გასაგზავნი გუნდის შემადგენლობას არკვევდნენ და ტალს ჰავანის ამბებს გაუხსენებდნენ, მას სპორტკომიტეტში მხოლოდ ერთი კაცი გამოესარჩლა: მომავალი „ავაზაკი“ კორჩნოი. მაგრამ კორჩნოის აზრი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ტალის ქართველმა მეგობრებმა იგი მოსკოვიდან პირდაპირ თბილისში წაიყვანეს, რათა ცოტათი მაინც დამშვიდებულიყო. მეც მას თბილისში შევხვდი, რახან გადავწყვიტე შვებულების მეორე ნახევარი მტკვრის ნაპირებზე გამეტარებინა. საქართველოს დედაქალაქი ერთადერთი ადგილი იყო დედამიწის ზურგზე, სადაც შეიძლებოდა გეგემნა ღმერთების ნექტარი, როგორც მე „ლაღიძის წყალს“ ვუწოდე.

ერთ საღამოს საჭადრაკო კლუბის ძველ შენობაში, როცა მე ტალს ვესაუბრებოდი, ჩვენთან მოვიდა მაღალი ტანის ლამაზი ქართველი კაცი და ვახშამზე დაგვპატიჟა. რესტორნისკენ რომ მივდიოდით, მიშასაგან შევიტყვე, რომ ეს იყო ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი გია ნადარეიშვილი. იმ წელს საქართველოში საკმაოდ თავისებურად ებრძოდნენ ქეიფებს: ყველა რესტორანი უკვე 23 საათსა და 30 წუთზე იკეტებოდა. მაგრამ ჩვენმა პურმარილიანმა მასპინძელმა მაინც შეძლო ღამის ბრიგადის ჩამოყალიბება, რომელიც მზარეულის, ოფიციანტისა და დახლიდარისაგან შედგებოდა და ჩვენ კარგად მოვილხინეთ. ახლა რომ ქართული წვეულების აღწერა დავიწყოთ, ეს მშვენიერი საშუალება იქნება ყველა გავაღიზიანოთ კომუნისტებიდან მოყოლებული დემოკრატების ჩათვლით. მიშას კარგი მიზეზი ჰქონდა სასმელს მისძალებოდა, მე ჩვეულებისამებრ საუზმისაგან აღარაფერს ვტოვებდი. რითაც სუფრაზე „ბალანსს“ ვიცავდი. სადღაც ღამის სამი საათი იყო, როდესაც გიამ მოულოდნელად იკითხა: „მიშიკო, არ გნებავთ ჩემი ეტიუდები ამოხსნათ?“ „დავიწყოთ“ — უპასუხა მიშამ და ნერვიულად წევას შეუდგა. ნადარეიშვილმა გვიკარნახა პოზიცია და დაახლოებით ხუთი-ექვსი წამის შემდეგ პასუხიც მიიღო. ამან იმდენად განაცვიფრა ავტორი, რომ მან დიდოსტატს კოცნა დაუწყო. შემდეგ ეს პროცედურა არაერთხელ განმეორდა, რადგან მიშა ისე ხსნიდა ეტიუდებს, ფიქრიც კი არ სჭირდებოდა. ეს საოცრება თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. ბოლოს მე ველარ მოვითმინე და გადავწყვიტე კომპოზიტორს გავხუმრებოდი. „გია, მიშა ეტიუდებს კი არ ხსნის, მან ისინი ზეპირად იცის და ამიტომაც ასე მალე გაძლევთ პასუხს“. „რა იცის — აღშფოთდა ავტორი — აი ეს ეტიუდი მე გუშინ შევქმენი!“

ეს ისტორია მე ახლა, მრავალი წლის შემდეგ გავიხსენე, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ორივე ჩემი „თანამეინახე“ ცოცხალი აღარ არის და მე ერთადერთი ვარ, რომელსაც შეუძლია მოგითხროთ ეტიუდების ამოხსნის ამ უჩვეულო ღამის კონკურსის შესახებ.

ალექსანდრ გელერი

მე «მფრინავი» ზაურ კალოევი...

(მესამე გვერდიდან)

მომდევნო, 1952 წლის სეზონის დასაწყისში, მ. იაკუშინმა ზ. კალოევი „დინამოში" აიყვანა ოფიციალურად, ასრულდა ახალგაზრდა ფეხბურთელის ოცნება, ზ. კალოევმა გაამართლა სპეციალისტთა იმედი — ბ. პაიჭაძის ღირსეულ მემკვიდრედ მოევლინა „დინამოს" თავდასხმის ცენტრში. ამის დასტური იყო ბევრი მატჩი მისი მონაწილეობით, მის მიერ გატანილი გოლები.

უველაზე მეტად მაინც 1962 წლის მეორე წრის მატჩი დამამახსოვრდა. ლუჟნიკში „სპარტაკს" ვეთამაშებოდით, — გაიხსენა ზ. კალოევმა, — სტადიონზე მოვიდნენ ლეონიდ ბრეჟნევი და ვასილ მჟავანაძე. ძალიან გვინდოდა მოგება. მე ამ დღეს ძლიერი სტოპერები — მასლიონკინი და დიკარევი მდარაჯობდნენ. მაინც მოვახერხე გავქცეოდი ორივეს, დაბალი გადაცემა მივიღე იამანიძე — მესხის კომბინაციის შემდეგ. ყველას ეგონა, რომ ფეხს დავარტყამდი, მაგრამ მოულოდნელად წავუწექი, გავფრინდი თითქოს და თავით გავგზავნე ბურთი კარში, უფრო ზუსტად კი ბურთიანად შევვარდი და გავეხვიე ბადეში. მეორე ტაიმში უკვე ბარქაიამ მომაწოდა პასი. სპარტაკელი მეკარე იგორ ფროლოვი გამოვარდა წინ, მერე შეჩერდა და სწორედ ამ დროს ბურთი გადავუგდე თავზე. თან ქართულად მივაყოლე (თბილისის „დინამოს" მცველის ბორისის ვაჟია და მშვენივრად იცის ქართული) „თუ გამოდიხარ — ბოლომდე გამოდი, შუაგზაზე რას ჩერდები!". იმ დღეს ჩვენ 2-0 გავიმარჯვეთ.

ამ მატჩს ზ. კალოევის კიდევ ორი სეზონი მოჰყვა დიდ ფეხბურთში. სამწუხაროდ, 1964 წელს, ქართული ფეხბურთის პირველ „ოქროს სეზონში", ზაურმა ტრავმის გამო სულ 4 მატჩი ითამაშა გივი ჩოხელივით. ა. მურთაზ ხურცილავას კი ერთი თამაშით მეტი ჰქონდა ჩატარებული. ტაშკენტში მაინც გაემგზავრნენ, ისე, სხვათა შორის...

ქართველ გულშემატკივრებს უსიამოდ აგონდებათ 1957-1958 წლები, როდესაც ზ. კალოევი მოსკოვის „ლოკომოტივში" თამაშობდა. საქმე ისაა, რომ ჩვენი გუნდი იმ გათამაშებებში უჩვეულო VII და IX ადგილზე გავიდა. საკმაოდ ობიექტური მიზეზების გამო ზ. კალოევი იძულებული იყო მოსკოვს გამგზავრებულიყო. იქაურ „დინამოში" ან „სპარტაკში" აპირებდა თამაშს, მაგრამ მოულოდნელად „ლოკომოტივში" მოხვდა და აქ, თასის მფლობელიც გახდა 1957 წელს. „გაქცეულ" ფეხბურთელს მოსკოვში ანდრო ჟორდანიამ და ნესტორ ჩხატარაშვილმა ჩააკითხა 1959 წლის სეზონის დასაწყისში და... ზაურიც სიხარულით დაბრუნდა მშობლიურ თბილისის „დინამოში". ზ. კალოევმა, ვ. ბარქაიამ და გუნდში მოსულმა სხვა ფეხბურთელებმა, საგრძნობლად გააძლიერეს „დინამო". 1959 წელს გუნდი III საპრიზო ადგილზე გავიდა, ხოლო ზ. კალოევმა 16 გატანილი გოლით ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირისა და გაზეთ „ტრუდის" პრიზი მოიპოვა. მომდევნო წელს მან გაიმეორა თავისი მიღწევა — ამჯერად 21 ბურთი გაიტანა. წინა სეზონის შედეგების მიხედვით იგი 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის აღმოჩნდა მოსკოვის დინამოელ იური კუზნეცოვის შემდეგ.

ზაურ კალოევი სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს 1960 წელს. მის შემადგენლობაში ევროპის თასის გათამაშების წინასწარი მატჩები ითამაშა, თუმცა მისთვის ოქროს მედალი არ გადაუციათ, მაგრამ ლუჟნიკის პირთამდე სავსე სტადიონზე გივი ჩოხელთან, სლავა მეტრეველთან, მიხეილ მესხთან და სხვებთან ერთად ზ. კალოევმაც შემოიარა საპატიო წრე.

1958 წლის მეორე, 1959 და 1962 წლების მესამე პრიზიორს ზაურ კალოევს 1968 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. მის თამაშს ტაშს უკრავდნენ საფრანგეთის, ჰოლანდიის, ინგლისის, კუბის, გერმანიის, ბულგარეთის, სამხრეთ ამერიკისა და სხვა ქვეყნების დიდი სტადიონები. 1965 წელს ზ. კალოევი ფეხბურთს გამოეთხოვა და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა თბილისის ასკ-ში, მერე — ცხინვალის „სპარტაკში", ჭიათურის „მაღაროელში", თბილისის ფეხბურთის სპეციალიზირებულ სკოლაში, მცხეთის „არმაზში"... გვინდოდა „გაგრძელება" დაგვეწერა, მაგრამ დღეს ეს ღვაწლმოსილი ფეხბურთელი — ღირსების ორდენის კავალერი — სამწუხაროდ, არსად არ მუშაობს. უკვე მეშვიდე წელიწადია! არადა, ნამდვილად შესწევს ძალა და უნარი კიდევ ბევრი სიკეთე მოუტანოს საყვარელ ფეხბურთს.

— ზაურ კალოევი, გარეგნულად თითქოს მონოტონური მოთამაშე, ყოველთვის დროულად ჩნდებოდა იქ, სადაც საჭირო იყო და გაჰქონდა გოლები. განსაკუთრებით თავური დარტყმით მესხის მოწოდების შემდეგ — წერს თავის წიგნში „ფეხბურთის მარადიული საიდუმლოება" სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხაილ იაკუშინი.

— მაინც ვისი პასები გერჩივნათ — მესხისა თუ მეტრეველის?

— ორივე ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, ზუსტი პასის ნამდვილი ოსტატი! მესხს მე მსოფლიოში №1 მარცხენა გარემარბად მივიჩნევ, მეტრეველს კი — №2... მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხბურთში გარინჩაც იყო. უშუალოდ თქვენს კითხვაზე კი ასე გიპასუხებთ: მეტრეველის მოწოდება უფრო პირდაპირი, უფრო მიზანდასახული, რბილი, თუ გნებავთ, „ინტელიგენტური" იყო, მესხის პასი კი, მეტწილად ტრაექტორიით წამოსული მოჭრილი ბურთი გახლდათ, ასეთ ბურთს მარტო თავის დახვედრა სჭირდება, თვითონვე აღმოჩნდება... „ლუზაში".

ოთარ ნოზაძე

ზაურ კალოევი ლუჟნიკში სსრკ ნაკრების — ევროპის თასის პირველი მფლობელის შემადგენლობაში გუნდის საპატიო წრის შემოვლის წინ.

P.S. ამ მასალის მომზადებისათვის რამდენიმე დღის წინათ ვესტუმრეთ ზაურ კალოევს შინ. ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მისი ღირსების ორდენით დაჯილდოების ამბავი. გადაწყვეტილი მქონდა ნარკვევი დამეწერა ზაურის 65 წლისთავისთვის — 24 მარტისათვის. ზაურმა გვითხრა, რომ თბილისის დინამოელთა მატჩის დღეს ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიასთან" მას სთხოვეს თამაშის საუკეთესო მოთამაშეებისათვის გადაეცა პრიზები. გავბედე და გავეხუმრე გულთბილ მასპინძელს: რომ გთხოვონ დაჟინებით, მაინც რომელ გუნდში ითამაშებდი ამ დღეს? გაეცინა და მოგვიგო: ცხადია, მხოლოდ ჩვენს „დინამოში", მის გარდა ჩემთვის სხვა მშობლიური გუნდი არ არსებობს!

— ზაური დღესაც არ იხდის „დინამოს" მაისურს, მუდამ აცვია ერთთავად! — ღიმილით გვეუბნება ზაურ კალოევის მეუღლე, წარსულში ნიჭიერი ტანმოვარჯიშე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ლუიზა ჯინჭარაძე. სხვათა შორის, მისი უმცროსი დაც — სპორტის ოსტატი რუსუდან ჯინჭარაძე — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო სპორტულ ტანვარჯიშში. დაუმატეთ ისიც, რომ ზაურის და — აზა მოგელაძე საქართველოს სპორტის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკია. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი „რეპორტაჟი" ცნობილი სპორტსმენების ოჯახში მომზადდა.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

აპრილის ნახევარფინალები

გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები

ჩემპიონთა ლიგა

„პანათენაიკოსი" (საბერძნეთი) — „ლეგია" (პოლონეთი) 3-0 (0-0)
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ნანტი" (საფრანგეთი) 2-2 (0-2)
„იუვენტუსი" (იტალია) — „რეალი" (ესპანეთი) 2-0 (0-1)
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ბორუსია" დ. (გერმანია) 1-0 (2-0)

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია პირველი მატჩების შედეგები.

ნახევარფინალში გუნდები დაწყვილდნენ ასე: „პანათენაიკოსი" — „აიაქსი", „იუვენტუსი" — „ნანტი". პირველი მატჩი გაიმართება 3 აპრილს, მეორე — 17 აპრილს.

თასების თასი

„რაპიდი" (ავსტრია) — „დინამო" (მოსკოვი) 3-0 (1-0)
„სარაგოსა" (ესპანეთი) — „დეპორტივო" (ესპანეთი) 1-1 (0-1)
„ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „ბორუსია"მ. (გერმანია) 1-0 (2-2)
„პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „პარმა" (იტალია) 3-1 (0-1)

ნახევარფინალური წყვილები: „ფეიენოორდი" — „რაპიდი" და „დეპორტივო" — „პარი სენ ჟერმენი". 4 და 18 აპრილი.

უეფას თასი

„ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 2-3 (2-2)
„რომა" (იტალია) — „სლავია" (ჩეხეთი) 3-1 (0-2)
„ბორდო" (საფრანგეთი) — „მილანი" (იტალია) 3-0 (0-2)
„ნოტინგემი" (ინგლისი) — „ბაიერნი" (გერმანია) 1-5 (1-2)

ნახევარფინალური წყვილები: „ბარსელონა" — „სლავია" და „ბორდო" — „ბაიერნი". 4 და 18 აპრილი.

„ბოლივიაში ალპინისტებმა ითამაშონ"!..

ეს უკვე ახალი თემა არაა სამხრეთამერიკულ ფეხბურთში: აქაურ საფეხბურთო ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ ბოლივიელები, მაგრამ ეს ქვეყანა მეტად მაღლა, მთებში მდებარეობს (დაახლოებით 900-1000 მეტრი ზღვის დონიდან), ამიტომაც ბოლივიის მეტოქე ფეხბურთელები სავსებით სერიოზულად ამბობენ... ბოლივიაში, თუ უნდათ ალპინისტებმა ითამაშონო.

ფეხბურთის თამაში მაღალმთიანეთში, მართლაც ერთობ ძნელია გაიშვიათებული ჰაერის გამო, ამიტომაც აქ თამაში არავის სურს, გუნდები მოითხოვენ ნორმალურ პირობებს. ამ „მიმდინარეობამ" ბოლოს ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ უშუალოდ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ჩარევას საჭიროებს.

ბოლივიაში ოფიციალური მატჩების ჩატარების მომხრეთა შორის არიან არგენტინის, საფრანგეთისა და ესპანეთის სახელმწიფოთა პრეზიდენტები, მათ ახლა მიემატა იტალიის პრეზიდენტიც — ოსკარ ლუიჯი სკალფარო. მან ფიფას ხელმძღვანელობას მოუწოდა ნება დართოს ბოლივიაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრათა გამართვას.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ● პირველი ჯგუფი

„დინამო" (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი) 4-0

„დინამო": ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, კობიაშვილი, მაჰავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 65), კერძევაძე (ხორხელი 71), ანჩაბაძე, (გადელია 66), იაშვილი.
„კოლხეთი": გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, ხუჭაძე, თიბილაშვილი, ინაიშვილი, კიკლიაშვილი, ღლონტი, გიორგაძე, ამბიძე, ქობელაძე (ბელეხია 52).
გოლები: ყიზილაშვილი (14), იაშვილი (58, 88), ანჩაბაძე (60).
მსაჯი: სილაგავა.
გაფრთხილება: გოგუა.

თბილისის „დინამოსა" და ფოთის „კოლხეთის" შეხვედრები ყოველთვის დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. თბილისში გამართული ამ ტურის შეხვედრაც საინტერესო იყო, ოღონდ... სულ 60 წუთი.

მატჩის დაწყებამდე ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა „დინამოს" ძველი გულშემატკივრის, ქართლოს სვანიძის ხსოვნას მიაგეს პატივი.

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო. მერე, თანდათან დინამოელებმა მოიპოვეს უპირატესობა, კარგად მოქმედებდა გუნდის მარცხენა ფლანგი. მე-9 წუთზე კერძევაძემ სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმო, რის შემდეგ ყიზილაშვილის დარტყმული ბურთი ცოტათი აცდა ფოთელთა კარს. მე-14 წუთზე კობიაშვილმა კარგად ჩაჰკიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მეკარე წინ გამოვიდა, მაგრამ ვერ მისწვდა ბურთს და ყიზილაშვილმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა ანჩაბაძე, მისი ორი სახიფათო დარტყმა ცოტათი აცდა ზედა ძელს. მერე სტუმრებმაც გამოიღეს ხელი და პირველი ტაიმის ბოლო 10 წუთი მათი სრული უპირატესობით წარიმართა. 35-ე წუთზე ზოიძესთან პირისპირ დარჩა კიკლიაშვილი, მაგრამ „დინამოს" მეკარემ იმარჯვა. 3 წუთის შემდეგ მიქაბერიძემ შეამჩნია წინ გამოსული ზოიძე და თითქმის ცენტრიდან დაარტყა, მეკარე ბურთს ვეღარ მისწვდა, თბილისელთა კარი კი ზედა ძელმა იხსნა. ტაიმის ბოლოს ინაიშვილს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ზოიძემ იყოჩაღა.

II ტაიმი ფეხბურთელებმა დაძაბულად, უხეში თამაშით დაიწყეს. 56-ე წუთზე მსაჯმა თამაში შეაჩერა და ფეხბურთელებს წესრიგისკენ მოუწოდა, თითქოს „დინამოც" ამას ელოდა, 58-ე და მე-60 წუთზე იაშვილმა და ანჩაბაძემ თითო გოლი გაიტანეს და უხეშობასაც ყოველგვარი აზრი დაეკარგა.

ამის შემდეგ მინდორზე მხოლოდ ორი ფეხბურთელი გამოირჩეოდა: თბილისელი იაშვილი და ფოთელი კიკლიაშვილი. კიკლიაშვილმა ერთხელ 35 მეტრიდანაც გაგზავნა ბურთი მეტოქის კარისკენ, მაგრამ ზოიძემ ლამაზი ნახტომით მოიგერია იგი, იაშვილმა კი გაცილებით მცირე მანძილიდან დაარტყა და თავისი მეორე, ეფექტური გოლით თამაშს წერტილი დაუსვა.

შოთა კოპალეიშვილი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● იურგენ კლინსმანი კატეგორიული წინააღმდეგია გერმანიის ნაკრებში 34 წლის ლოთარ მათეუსის დაბრუნებისა. მისი აზრით, მათეუსის ხელახალი მოსვლა გუნდში გაამწვავებს ურთიერთობას ფეხბურთელებს შორის. კლინსმანს მხარს უჭერს ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგტსი.

● „ბარსელონას" მწვრთნელის იოჰან კრუიფის ვაჟიშვილი ჰორდი ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ, რაც მუხლის ტრავმით იყო გამოწვეული, დაბრუნდა თავის კლუბში, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით გამოიჩინა თავი. ჰორდის ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი ჰოლანდიის ნაკრების ღირსებას დაიცავს თუ ესპანეთისას.

● პროფესიონალი სპორტსმენის ეთიკის დარღვევისათვის ლისაბონის „სპორტინგის" ჩეხი ფორვარდი ტომაშ სკუხრავი კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დისკვალიფიცირებულია სეზონის ბოლომდე.

● ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო სადისციპლინო პროცესი ჩხუბითა და აყალმაყალით განთქმულ მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტ ხესუს ხილიასთან. პროცესის საბაბი გახდა ჩხუბი „კომპოსტელას" პრეზიდენტ ხოსე კანედოსთან.

● ბრაზილიის პრეზიდენტი ფერნანდო ენრიკე კარდოსო მხარს უჭერს იაპონიის კანდიდატურას 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე. როგორც ამბობენ, პრეზიდენტი ამ შემთხვევაში ბრაზილიელი ვეტერანის ზიკოს გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელმაც რამდენიმე სეზონი გაატარა ამომავალი მზის ქვეყანაში და მის აქტიურ გულშემატკივრად ითვლება.

● იტალიაში გატარებულმა სამმა წელმა ვერ მოუტანა სახელი „მილანის" პორტუგალიელ ფორვარდ პაულუ ფუტრეს. ამ ხნის განმავლობაში მან სამი ოპერაცია გაიკეთა მარჯვენა მუხლზე. ახლა იგი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და მზად არის სათამაშოდ.

● ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო მომავალი ამხანაგური მატჩისთვის (ან არგენტინის, ან ჩილის ნაკრებთან) ევროპიდან იწვევს ხუთ ლეგიონერს: ჟუნინიოს (ინგლისის „მიდლსბრო"), რობერტო კარლოსს, კაიოს (ორივე — იტალიის „ინტერი"), ალდაირს (იტალიის „რომა") და ანდრე კრუსს (იტალიის „ნაპოლი").

● ფიფას ვიცეპრეზიდენტს რობერტო კანედოს (მექსიკა) მიაჩნია, რომ უეფას მეთაური ლენარტ იუჰანსონი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ყველაზე კარგი და რეალური კანდიდატია. კანედოს განმარტებით სამხრეთ ამერიკა და აფრიკა მომავალ არჩევნებში უსათუოდ დაუჭერს მხარს ავლანჟს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას თუ როგორ პოზიციას დაიკავებენ სხვა დელეგატები. თვით კანედოს აზრით ფიფას პრეზიდენტი უსათუოდ ევროპელი უნდა იყოს.

შენც, ტარანტინო?!

ფეხბურთში 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინის ნაკრების წევრი ალბერტო ტარანტინი დაიჭირეს ბუენოს-აირესში ღამის ბარიდან გამოსვლის დროს. შინ მას უპოვეს კოკაინისა და სხვა ნარკოტიკების მარაგი, რომელიც გასაყიდად იყო გამზადებული. არგენტინის ეროვნული გუნდის მცველი სხვადასხვა დროს თამაშობდა „რივერ პლეიტში", „ბოკა ხუნიორსში" და ინგლისის „ბირმინგემში". ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მენეჯერად ბუენოს-აირესის ღამის კლუბებში.

● რიო-დე-ჟანეიროში გამართულ პრესკონფერენციაზე პელემ განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი საფეხბურთო კარის ზომების გაზრდისა, ოღონდ მას უნდა ჩაუთვალონ გატანილად ის ბურთები, რომლებიც მან სხვადასხვა დროს კარის ძელს მოარტყა (ოფიციალურ შეხვედრებში პელეს გატანილი აქვს 1248 გოლი). ბრაზილიის სპორტის მინისტრი ამბობს, რომ ამჟამად მუშაობს ტრანსფერების სისტემის გაუმჯობესებაზე.

● იდეა იმის შესახებ, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ერთობლივად ჩატარდეს იაპონიასა და კორეაში, უკვე მესამედ უარჰყო საერთაშორისო ფედერაციამ. ფიფას პრეს-ატაშეს ანდრეას ჰერენის განცხადებით ერთობლივი ჩემპიონატი კოლოსალურ სირთულეებს ქმნის და ამიტომ ამ წინადადების მხარდაჭერა უაზრობა იქნებოდა.

● „ბაიერნის" კლუბის პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის განკარგულებით უეფას თასზე „ნოტინგემთან" გამარჯვების შემდეგ თითოეულმა ფეხბურთელმა დამატებითი პრემიის სახით 85 ათასი მარკა მიიღო. პრეზიდენტი ფიქრობს ასე: „თუ ფეხბურთელი კარგად თამაშობს, მისი კეთილსინდისიერი საქმიანობა სათანადოდ უნდა იყოს ანაზღაურებული".

● ვერონას (იტალია) საფეხბურთო სტადიონს ჯერჯერობით ვერ დაარქმევენ იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარის ალდო ოლივიერის (მსოფლიოს 1938 წლის ჩემპიონის) სახელს, ვინაიდან 86 წლის მოხუცი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. „სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ, ისე კი დიდი მადლობელი ვარ ასეთი საპატიო ინიციატივისთვის".

● კვირაობით პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩებს ტელევიზიით აღარ გადასცემენ. ეს, ფიქრობენ ფედერაციაში, სტადიონებზე მისვლის მსურველთა რიცხვს ერთი-ორად გაზრდის. განზრახულია, ასევე, უმაღლესი დივიზიონის მონაწილეთა რაოდენობის შემცირება 18-დან — 14-მდე.

● ბრაზილიის ნაკრების უფროს მწვრთნელს მარიო ზაგალოს მიმდინარე სეზონის უმთავრეს შეჯიბრებად მიაჩნია ატლანტის ოლიმპიური თამაშები, რომლისათვის სამზადისს ოფიციალურად გუნდი აპრილის პირველი რიცხვებიდან იწყებს. ზაგალომ ამ დღეებში დაასახელა ნაკრების 19 კანდიდატის გვარი.

სოკის პრეზიდენტი პენსიაზე გასვლას არ აპირებს

(პირველი გვერდიდან)

იმავე წლის თებერვალში გენერალური მდივანი იური ანდროპოვი გარდაიცვალა. სოკის ყველა წევრი, სამარანჩის სიტყვებით, ფიქრობდა, რომ ახალი გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი გახდებოდა და ოლიმპიადასთან დაკავშირებით პრობლემები არ ექნებოდათ. ბედმა კი სხვაგვარად განსაჯა: ანდროპოვის მემკვიდრედ მოგვევლინა ძველი გვარდიის წარმომადგენელი კონსტანტინე ჩერნენკო.

— მის დროს საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს წყვეტდა გრომიკო, რომელიც აშკარად აშშ-ის წინააღმდეგ იყო განწყობილი. სწორედ მან მიიყვანა საქმე იქამდე, რომ საბჭოთა კავშირმა 1984 წლის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა, — ამბობს სამარანჩი.

● ახლა, როგორც ეტყობა, ბოიკოტების პერიოდმა გაიარა. ოლიმპიურ მოძრაობაში სულ ახალ ქვეყნებს იღებენ. ზღვარი თუ არსებობს?

— ჩვენ უკვე დავადგინეთ ზღვარი მონაწილეთა რაოდენობისათვის — 10 ათასი კაცი. ბოლო ოლიმპიადაზე ესპანეთში, ბარსელონაში, 172 ქვეყნის 9700 სპორტსმენი ჩავიდა.

● ბევრი სპორტსმენი უზრუნველყოფს უზარმაზართანხებიან შემოსავალს, არაფერს კი არ ღებულობს. განა ეს სამართლიანია? სოკი ხომ პროფესიულ სპორტს ცნობს?

— ოლიმპიადაში მონაწილეობა სპორტსმენებისათვის პატივია. მრავალთათვის გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვან ამბად გადაიქცევა ხოლმე მათ კარიერაში. იმ სახსრებს კი ჩვენ გადავცემთ ოლიმპიურ კომიტეტებს, რომლებიც მხარს უნდა უჭერდნენ ათლეტებს.

● სამარანჩი უკვე 76 წლისა ბრძანდება, მაგრამ იგი, ინტერვიუს ავტორის თქმით, ოლიმპიურ ტახტზე ჯდომას კიდევ რვა წელიწადს აპირებს, თუმცა, მის მანდატს მოქმედების ვადა 1997 წელს გაუდის. რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი სამუშაო მიყვარს, — შენიშნა ხუან ანტონიომ და გაიხსენა, რომ ერთ-ერთ მის წინამორბედს ბრენდეჯს სოკის პრეზიდენტის პოსტი 85 წლის ასაკამდე ეკავა, ხოლო ფიფას ახლანდელ თავმჯდომარეს აველანჟს 80-მა მიუკაკუნა.

ერთი სიტყვით, იცის კაცმა ვისგან აიღოს მაგალითი. სოკის წევრებს სტატუსი სამუდამოდ უნარჩუნდებოდათ. ცოტა ხნის წინათ კრიტიკის ცეცხლქვეშ დადგინდა საპენსიო ასაკი — 75 წელი. ასე რომ, კანონის თანახმად სამარანჩი 1997 წელს უნდა გადამდგარიყო.

ნურას უკაცრავად — შარშან ბუდაპეშტში სოკის კონგრესის წინ პრეზიდენტმა კომიტეტის წევრებს წერილები დაუგზავნა ასეთი შეკითხვით: როგორ გგონიათ, ასაკობრივი საზღვარი უნდა აიწიოს, თუ საერთოდ უნდა გაუქმდეს? ამის შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება — საპენსიო ასაკი გაიზარდოს 80 წლამდე.

ხუა ანტონიო სამარანჩი უარყოფდა, რომ სწორედ იგი უნდა იყოს სოკის წევრთათვის საპენსიო ასაკის გაზრდის საკითხის დაყენების ინიციატორი; თუმცა, ამ შედეგით აშკარად კმაყოფილი გახლდათ...

მოამზადა
თამაზ ებანოიძემ.

ნბა-ს ამბები

● „დენვერის" თავდამსხმელმა მაჰმუდ აბდულ-რაუფმა, როგორც ჩანს, ჭკუა ისწავლა დისკვალიფიკაციისა და სათანადო სანქციების შემდეგ და „ჩიკაგოსთან" მატჩში აშშ-ს სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს იკადრა ფეხზე წამოდგომა. „ჩიკაგომ" ეს ორთაბრძოლა მოიგო — 108:87. ჯორდანმა თავის გუნდს 33 ქულა შესძინა, აბდულ-რაუფმა — 19.

● „ჩიკაგოს" შტატიანი მებრძოლი ფარქვეშ დენის როდმანი ცნობილია, როგორც მსაჯებთან მოკამათე და სკანდალისტი. წლეულს იანვარში მსაჯებთან კონფლიქტის გამო იგი დაჯარიმდა 5 ათასი დოლარით. რამდენიმე დღის წინ „ნიუ-ჯერსისთან" ორთაბრძოლაში კი ისევ მსაჯებთან კონფლიქტის გამო გააძევეს მოედნიდან, დააჯარიმეს 20 ათასი დოლარით და ექვსი თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. როდმანი მოედანზე დაბრუნდება მხოლოდ აპრილის პირველ რიცხვებში.

კიდევ ერთი რეიტინგი

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) გამოაქვეყნა რეიტინგი ევროპის გუნდებისათვის, რომელშიც გათვალისწინებულია ბოლო სამი სეზონის შედეგები. პირველი ათეული ამ რეიტინგის შესაბამისად გამოიყურება ასე:

1.	ესპანეთი	—	308,333	ქულა
2.	საბერძნეთი	—	225,000	
3.	იტალია	—	216,667	
4.	საფრანგეთი	—	123,238	
5.	თურქეთი	—	93,333	
6.	ხორვატია	—	63,333	
7.	გერმანია	—	61,389	
8.	რუსეთი	—	53,000	
9.	ისრაელი	—	50,905	
10.	სლოვენია	—	41,333	

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს ამ რეიტინგში ასეთი ადგილები აქვთ განკუთვნილი (რუსეთი, როგორც ნახეთ პირველ ათეულშია გასული); 14. ლიტვა — 19,000; 15. უკრაინა — 15,389; 27. ლატვია — 3,667; 32. საქართველო — 1,833; 35. ესტონეთი — 1,389; 38. მოლდოვა — 0,167; 40. ბელორუსია — 0,056.

1996 — 97 წლების სეზონში ფიბას იმავე რეიტინგის თანახმად საქართველო ერთ გუნდს გაიყვანს ევროპის თასზე და ერთს — კორაჩის თასზე.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაუგრძნობს ამავე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს ილია ქევხიშვილს შვილის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია თანაუგრძნობს ეკა აბრამიას მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს როზა პოპოვას მეუღლისა და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრს ეკა აბრამიას მამის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი გაზეთის ყოფილ რედაქტორის მოადგილეს თამაზ მიგრიაულს მამის გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია იუწყება ამავე გაზეთის პირველი თაობის ყოფილი თანამშრომლის ავთანდილ ხუჭუას გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კრიმინალური ქრონიკა

მძიმე წონის ყოფილმა მოყვარულმა მოკრივემ ანჯეი გოლოტამ, აშშ-ს რინგზე წარმატებებს მიაღწია, მაგრამ შინ პოლონეთში ჩასვლას ვერ ბედავს, ვინაიდან შეიძლება მოხვდეს... ციხეში. საქმე ის გახლავთ, რომ 6 წლის წინ ერთ-ერთ ბარში მას ჩხუბი მოუვიდა და, ბუნებრივია, მწარედ გალახა მოწინაღმდეგეები. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ პროცესზე გალახულთა ადვოკატებმა დაამტკიცეს, რომ გოლოტას მუშტი იგივეა, რაც მძიმე საგანი. მძიმე საგნით სხეულის დაზიანებისთვის კი დამნაშავეს, პოლონეთის კანონების თანახმად, ციხე ემუქრება.

როგორც ცნობილია, პროფესიული კალათბურთის სუპერ-ვარსკვლავის მაიკლ ჯორდანის მამის მკვლელს (ვინმე გრინს) ამერიკის სასამართლომ საკმაოდ უცნაური სასჯელი გამოუტანა — სამუდამო პატიმრობა პლიუს 10 წელი (ასეთი უცნაური ვერდიქტები აშშ-ში ხშირია). საქმეში ჩახედული ბევრი იურისტი გაკვირვებულია, რატომ არ დასაჯეს მკვლელი... სიკვდილით. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგი ნივთმტკიცებანი მთლად დამაჯერებელი არ იყო. მეორე დამნაშავის დიმირის განაჩენი დღემდე არ არის ცნობილი. თუმცა, ვარაუდობენ, რომ აქ შეიძლება გამოიყენონ სასჯელის უმაღლესი ზომა.

ოკლაჰომას შტატის ქალაქ ჯეიში დამთავრდა ცნობილი ამერიკელი მოკრივის ტომი მორისონის (მძიმე წონა) სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისი ყოფილი მეგობარი ქალის ტამი უიტის გალახვა (მორისონს მისგან 3 შვილი ჰყავს). სასამართლომ ბრალდებულს ერთობ რბილი განაჩენი გამოუტანა: ექვსი თვის პირობითი პატიმრობა, ჯარიმა 400 დოლარი და 30 საათი გამოსასწორებელი სამუშაოები. მორისონმა, ამავე დროს, უნდა გაიაროს ასეთი შემთხვევისათვის დამახასიათებელი ანალიზი ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე. განაჩენი სხვა შემთხვევაში უფრო მკაცრი იქნებოდა, მაგრამ სასამართლომ მას ამჯერად მცირედი აკმარა, ვინაიდან... მორისონი შიდსით არის დაავადებული.

ინგლისელმა დაიანა მოდალმა სასამართლოში უჩივლა ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციას, რომლისგანაც კომპენსაციის სახით ითხოვს 400 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდას. 1994 წელს იგი დისკვალიფიცირებული იყო საერთაშორისო ფედერაციის მიერ დოპინგის გამოყენებისათვის. ეს გადაწყვეტილება მოდალმა გაასაჩივრა, როგორც უკანონო. მას მიაჩნია, რომ უსამართლოდაა დასჯილი, უსამართლოდ აქვს ჩამორთმეული შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება და ამის გამო არა აქვს ფულის გაკეთების საშუალება. სულ მალე საქმეს განიხილავს ინგლისის სასამართლო.

ყურადღება!

ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი სპორტულ ფედერაციებს და სპორტული სკოლების ხელმძღვანელებს სთხოვს არ დაუშვან საწვრთნელ ვარჯიშზე და შეჯიბრებებზე სპორტსმენები ჩვენს ცენტრში სავალდებულო დისპანსერიზაციის გავლის გარეშე.

ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებმა ცენტრს სასწრაფოდ წარუდგინონ ყველა ასაკობრივი ჯგუფის ნაკრები გუნდების წევრთა სიები დამოწმებული ფედერაციის ბეჭდით.

ნაკრების წევრებისათვის მომსახურების ხარჯებს გაიღებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. დანარჩენებისთვის დაწესებულია შეღავათები.

ჩვენი მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი, 49ა

ტელ: 23-59-59; 29-47-48

გამოიწერეთ „ლელო"

პრესა ყველაზე იაფად და ყველაზე ოპერატიულად

ორგანიზაციებისა და კერძო პირთა საყურადღებოდ!

სააგენტო "EXPRESS" გაგიფორმებთ ხელმოწერებს, როგორც ქართულ და რუსულ, ასევე ევროპისა და ამერიკის წამყვან ჟურნალ-გაზეთებზე.

იჩქარეთ ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით

ფირმის ოფისი განთავსებულია რუსთაველის 52-ში

☎ 93-66-78 (საზაგამო ქარ შენობა)

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული სპორტის უხუცესი წარმომადგენელი, პირველი ქართველი სპორტის ოსტატი ლელობურთში, ამ სახეობაში თამაშის წესების აღმდგენი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

დიმიტრი (გულუ)
ცინცაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

1. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრაზე:

უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული

2. ტანვარჯიშის კათედრაზე:

უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, აკრობატიკის სპეციალობით

3. ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრაზე:

უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, ძალოსნობის სპეციალობით

4. სპორტთამაშების კათედრაზე:

უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, რაგბის სპეციალობით

5. სპორტმედიცინის კათედრაზე:

პროფესორი — 0,5 ერთეული, მეცნიერების დოქტორი

უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, სპ. მედიცინის სპეციალობით

მასწავლებელი — 1 ერთეული, სპ. მედიცინის სპეციალობით. უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული სამკ.ფიზკ. სპეციალობით.

6. საწყლოსნო სპორტის კათედრაზე:

დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი, წყალბურთის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი:
თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ.№49
ტელ: 23-09-02

კროსვორდი ● კროსვორდი



თარაზულად: 1. ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელი, 5. ცნობილი ბასკი ფეხბურთელი წარსულში, 9. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი — „ოქროს ბურთის" ლაურეატი, 8. მაყურებელთა სრული დასწრება. 10. ქართული ფალავანი ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 11. ზამთრის სპორტის სახეობა, 12. შეძახილი ფარიკაობის დროს, 13. ცნობილი ჩეხი მაგიდის ჩოგბურთელი, 15. ცნობილი ჩოგბურთელი (აშშ), 18. მოსკოვის „სპარტაკის" ცნობილი გარემარბი, ოლიმპიური ჩემპიონი, 19. მატჩის ერთი პერიოდი, 20 ცხენით ქროლვა, 21. ამერიკელი ჩოგბურთელი, 23. პოლონეთის სპორტული კლუბი, 26. აშშ-ს ეროვნული საკალათბურთო ლიგა (შემოკლებით), 27 სიძნელეთა ვაჟკაცურად დამძლევი, მათ შორის სპორტში, 30. ტერმინი კარატეში, 33. პოლონელი მოფარიკავე ოლიმპიური პრიზიორი (1960 წ), 34. იაპონელი ძმების — ძალოსნების (60-იანი წლები) გვარი, 35. ცნობილი ინგლისელი მორბენალი, 36. ბასკი ფეხბურთელი — მეკარე (60--70-იან წლებში), 37. ინვენტარი ცხენოსნობაში.

შვეულად: 1. ძველ საბერძნეთში ცხენოსანი ქალი, 2. მაკედონის საფეხბურთო კლუბი, 3. ბორჯომის რაიონის საფეხბურთო გუნდი, 4. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა თბილისში, 5. ფინეთის ქალაქი, ზამთრის სპორტის სახეობათა ცენტრი, 6. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 7. კავშირი, გაერთიანება, 14. შედეგი კრივში, 16. ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი 50-იან წლებში, 17. ამინდი, რომელიც გავლენას ახდენს აფროსნების ასპარეზობაზე, 21. საცხენოსნო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში, 22. წარსულში რუსი ფეხბურთელი, 24. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 25. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 28. ფინელი მორბენალი — ევროპის ჩემპიონი (1938), 29. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 31. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, 32. ბრაზილიელი ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონი.

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ახალბედა, 6. ტაიმი, 8. პრესი, 12. საუნა, 13. ბორგი, 14. იური, 15. ედერლე, 16. ტატამი, 17. კილი, 19 კრახი, 10. ანდრო, 21. ვიალი, 23. ტოკიო, 25. განთესვა.

შვეულად: 1. პატი, 2. დადიანი, 3. კემპესი, 4. ბადე, 7. „აინტრახტი", 9. სპორტინგი, 10. ბაიდარა, 11. ოგიმურა, 17. კახიანი, 18. იუსტუსი, 22. „ალგა", 24 კლაკ.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ბელა ძმანაშვილი, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია.